შიraki

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№15 (10.120)

11-18 მაისი, 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ევროპის კვირეული დედოფლისწყაროში

ევროპის კვირეულთან დაკავშირებით ქ. დედოფლისწყაროს ცენტრი და რუსთაველის ქუჩა საქართველოს სახელმწიფო და ევროკავშირის დროშებით მოირთო.

ევროპის დღე, რომელიც ყოველწლიურად, 9 მაისს აღინიშნება, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, რობერტ შუმანის 1950 წლის დეკლარაციის პატივსაცემად დაწესდა. სწორედ 1950 წლის 9 მაისს წარადგინა შუმანმა იდეა ევროპაში პოლიტიკური თანამშრომლობის ახალი ფორმის შესახებ, რომელიც ევროპის ქვეყნებს შორის ნახშირისა და ფოლადის მარაგების გაზიარებას ითვალისწინებდა და ევროპაში ომს წარმოუდგენელს ხდიდა. ამ იდეამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ევროპის კავშირს. შედეგად, უკვე 73 წელია, რეალობადქცეული იდეა, რომელსაც დღეს ევროკავშირი ჰქვია, ვითარდება, წარმატებით მუშაობს, მშვიდობასა და კეთილდღეობას ემსახურება და 27 ქვეყნის მასშტაბით, 447 მილიონამდე ადამიანს აერთიანებს.

9 მაისს ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები ევროპის დღეს ზეიმობენ - თარიღს, რომელიც ევროპაში მშვიდობასა და ერთობას აღნიშნავს.

გასული წლიდან მოყოლებული საქართველო ევროპის დღეს „ექსპო ჯორჯიაში“ აღნიშნავს. წელს პირველად საქართველო ევროპის დღეს ხვდება, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. ამიტომ ღონისძიებამ მეტი მასშტაბურობა შეიძინა. ევროპის დღეს, „ექსპო ჯორჯიას“ სივრცეში, ხუთი პავილიონი და ექვსი ზონა დაეთმობა, სადაც წარმოდგენილი იქნება ერთიანობის, მრავალფეროვნებისა და ევროკავშირისა და საქართველოს საერთო ღირებულებების ამსახველი ფაქტები. ღონისძიება დაეთმობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ თანამშრომლობას და აქცენტი გაკეთდება ევროკავშირის მიერ საქართველოს კეთილდღეობაში შეტანილ წვლილს. ამჟამად ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოში 130-ზე მეტი პროექტი ხორციელდება, რომელთა ნაწილსაც სწორედ ევროპის დღეს გაეცნობით.

ერთიანობა მრავალფეროვნებაშია - საქართველო, ევროპის დღე 2024-ს, უკვე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსით ხვდება. ღონისძიება, რომელიც მრავალი წელია საქართველოში სწორედ ევროპის დღის აღსანიშნავად იმართება, ამჯერადაც მასშტაბური და გამორჩეული იქნება. შეხვედრის ადგილი კვლავაც უცვლელია — „ექსპო ჯორჯიას“ პავილიონები ერთი დღით ევროკავშირის ფერებში, ქართული პროდუქტებით და გამორჩეული პროგრამით იქნება დატვირთული.

ჰერეთში ქურმუხის ტაძარი მოილოცეს

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმყოფებოდა.

საზეიმო წირვა მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა, ხორნაბუჯის, ჰერეთისა და ნეკრესის ეპარქიების დროებითმა მმართველმა, მეუფე თეოდორემ აღავლინა. წირვას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანში ზურაბ პატარაძე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ზაზა ვაშაყმაძე, პარლამენტის წევრები - სოზარ სუბარი, გურამ მაჭარაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, კარლო ჯამბურია ადგილობრივ მრევლთან ერთად დაესწრნენ. ადგილობრივ ჰერებს ტრადიციულად ქართულმა მხარემ საჩუქრები გადასცა.

C M Y K

ინფრასტრუქტურის მოწყობა გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურ რეჟიმში გრძელდება. მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან, სოლომონ ღორაშვილთან ერთად სოფელ ხორნაბუჯში აღმაშენებლის ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა.

ქ. დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩის მონაკვეთის და სოფელ ხორნაბუჯში აღმაშენებლის ქუჩის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთებზე ეწყობა ორი ფენა ასფალტ-ბეტონის საფარი, სანიაღვრე არხები, ეზოებში მისასვლელი გზები და ტროტუარები.

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს და მისი ჯამური ღირებულება 1 938 360 ლარია.

101 წლის ვეტერანს 9 მაისი მიულოცეს

ფაშიზმზე გამარჯვების 79 წლისთავთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, ნიკოლოზ შანშიაშვილს ეწვივნენ და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს მეორე მსოფლიო ომის ერთი ვეტერანი ჰყავს. ნიკო შანშიაშვილს წელს 101 წელი შეუსრულდება.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების სახით - 2000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები 1000 ლარს მიიღებენ. ნიკოლოზ შანშიაშვილი დედოფლისწყაროს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ასევე 500 ლარს მიიღებს.

სათნოების სახლში სააღდგომო ნობათი დარიგდა

წინასააღდგომო დღეებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნუგზარ პაპიაშვილთან, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარესთან, ნიკოლოზ ხუციშვილთან და მერიის თანამშრომლებთან ერთად დედოფლისწყაროს სათნოების სახლს ეწვია და ბენეფიციარებს აღდგომის ბრნყინვალე დღესასწაული მიულოცა. საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, სააღდგომო სასაჩუქრე კალათა ამჯერად სათნოების სახლის 170 ბენეფიციარს გადაეცა.

ღია წერილი „გულწრფელ“ ახალგაზრდებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე „გულწრფელ ახალგაზრდებს“ ღია წერილით მიმართავს. პრემიერი „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებულ წერილში ამბობს, რომ მიმდინარე საპროტესტო აქციებზე „კუზერაშვილისა და უცხოელი დონორების მიერ მავი და გაუმჭვირვალე ფულით დაფინანსებული ძალადობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციები აქტიურობენ“, თუმცა, აღნიშნავს, რომ აქციებში გულწრფელი ახალგაზრდებიც მონაწილეობენ.

პრემიერი სწორედ მათ მიმართავს, ასახელებს მაგალითებს, როდესაც, მისი აზრით, ამ ახალგაზრდებმა შეცდომები დაუშვეს და მოუწოდებს მათ, რომ „საკუთარ წარსულ ნაბიჯებს კრიტიკულად შეხედონ, რომ სამომავლოდ მსგავსი შეცდომები აღარ დაუშვან“.

„გამჭვირვალობის შესახებ კანონის განხილვის დაწყების მომენტიდან, თბილისში იმართება საპროტესტო აქციები, რომლებშიც სტაბილურად 10 ათასამდე ადამიანი მონაწილეობს. „ნაცმოძრაობის“ კუთვნილი ტელევიზიები აქცენტს აკეთებენ ამ ადამიანების დიდი ნაწილის ახალგაზრდულ ასაკზე, ასევე მათ გულწრფელობაზე და ატრიალებენ დალაგებულ “მესიჯს”, რომ ხელისუფლება გულწრფელ ახალგაზრდებს არ უსმენს. ბევრს არ ვისაუბრებ იმაზე, რომ აქციებში სტაბილურად მოხახილე ახალგაზრდების დიდი ნაწილი სრულიად არაგულწრფელი ახალგაზრდა ნაციონალები არიან. ესენია „ნაცმოძრაობის“, გვარამია-მელიას, გახარიას და ხაზარაძის ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც აითეულობით მოძალადე ახალგაზრდას აერთიანებს. ხაზარაძე აფინანსებს მოძრაობა „ჯენზისაც“, რომლის ლიდერიც “ჯენ-ზის” ასაკს მკვეთრად არის გადაცილებული. აქციებზე აქტიურობენ კუზერაშვილისა და უცხოელი დონორების მიერ მავი და გაუმჭვირვალე ფულით დაფინანსებული ძალადობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციები - „სირცხვილია“, „ფრანკლინის კლუბი“, „მომავლის აკადემია“, „სტუდენტები ევროპული მომავლისთვის“, „მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ჯრუტი“, „ტალღა“, „ნაბიჯი“, „წერტილი“, „დაფიონი“, რომლებიც 200-მდე აქტივისტს რეგულარულად უყრიან თავს და უმუალო პარტიულ აქტივთან ერთად, მოძალადე ახალგაზრდების ძირითად ბირთვს შეადგენენ.

ამ არაგულწრფელ ახალგაზრდებთან ერთად, რა თქმა უნდა, აქციებში მონახილეობენ გულწრფელი ახალგაზრდებიც, რომლებსაც სჯერათ, რომ აქციაზე დგომით კარგ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. ერთ-ერთი ასეთი, ჩემი ნაცნობი გულწრფელი ახალგაზრდის პოსტები ხშირად მხვდება „ფეისბუკში“ და შევეცადე მივყოლოდი მის ლოგიკას. ეს ახალგაზრდა დღეს 25-27 წლის იქნება. 2020 წლიდან ის რევოლუციის ორივე მცდელობას აქტიურად უჭერდა მხარს და ალბათ, არცერთი ოპოზიციური აქცია არ გამოუტოვებია.

2020 წელს მან ხმა მისცა ნაციონალებს. იმდენჯერ აქვს „ფეისბუკში“ დაწერილი, რომ ნაცი არ არის, სავარაუდოდ, პარტია „ნაცმოძრაობისთვის“ ხმის მიცემის თავის თავთანაც მოერიდებოდა. თუმცა, მის „ფეისბუკ“-აქტივობას თუ დავაკვირდებით, აშკარაა, რომ 2020 წელს მან „ნაცმოძრაობის“ ორი დანაყოფიდან ერთ-ერთი - „ევროპული საქართველო“ ან „ლელო“ შემოხაზა. ეს ახალგაზრდა არჩევნების ღამეს აღშფოთდა, როცა „მთავარი არხისგან“ შეიტყო, რომ ცესკომ არჩევნების შედეგები „დაგვიანებით“ გამოაქვეყნა და ერთ-ერთი პირველი გავიდა ნაცების აქციაზე, რომელიც ცესკოში შეჭრის მცდელობით დასრულდა. მართალია, ცესკოში შეჭრა თვითონ არ უცდია, მაგრამ ამ ყველაფერს აქციაზე დგომით ამაგრებდა.

ეს ახალგაზრდა კიდევ უფრო აღშფოთდა, როცა „მთავარი არხის“ მიერ გაჟღერებული ბრალდება „ენჯეოებისგანაც“ მოისმინა. მართალია, რამდენიმე თვის შემდეგ გაიგო, რომ ერთმაც და მეორემაც მოატყუა და სინამდვილეში, ცესკომ შედეგები სტანდარტულ დროს გამოაქვეყნა, მაგრამ „მთავარი არხისა“ და „ენჯეოებისთვის“ საყვედურის „დაპოსტვა“ აზრადაც არ გაუვლია. ასეთია ნაციონალის ბუნება - მისთვის ნაცისგან, „ენჯეოსგან“ და „მთავარი არხისგან“ მოსმენილი ტყუილიც კი წმინდაა. ეს გულწრფელი ახალგაზრდა მაშინაც აღშფოთდა, როცა ცესკოს შედეგები „ენჯეოს“ პარალელური ხმის დათვლას ასცდა. თუმცა, აღშფოთება იმაზე აღარ გამოუხატავს, როცა ამ „ენჯეომ“ 5 კვირის დაგვიანებით თავადვე აღიარა, რომ სწორედ მისი პარალელური დათვლა ასცდა ცესკოს შედეგებს და არა პირიქით. მოკლედ, ამ გულწრფელმა ახალგაზრდამ არჩევნები „ფეისბუკზე“ გაყალბებულად გამოაცხადა და თამარ ჟვანიას მსოფლიოს მთავარი გამყალბებლის ტიტული თამამად მიანიჭა. რამდენიმე თვეში ამ ახალგაზრდას ბოდიში აღარ მოუხდია, როდესაც ეს „მსოფლიოს მთავარი გამყალბებელი“ - თამარ ჟვანია ამერიკელებმა ერთ-ერთ ქვეყანაში თავიანთი მთავარი საარჩევნო ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნეს.

ჩვენი გულწრფელი ახალგაზრდა 2021 წელს აქტიურად ითხოვდა ხელისუფლების მიერ მიშელის შეთანხმების ხელმოწერას. თუმცა, ის საერთოდ არ აღშფოთებულა, როცა „ნაცმოძრაობამ“ და „ევროპულმა საქართველომ“ ამ შეთანხმებას ხელი არ მოაწერეს და საქართველოში ჩამოსულ მიშელთან მისვლაც კი არ იკადრეს. სამაგიეროდ, გაგულისდა, როდესაც ნაცების ხელმოწერის 100-დღიანი უმედეგო ლოდინის შემდეგ, ეს შეთანხმება „ქართულმა ოცნებამ“ ანულირებულად გამოაცხადა. მოკლედ, ჩემი ნაცნობი გულწრფელი ახალგაზრდის პირველი რევოლუციური მცდელობა იმით დასრულდა, რომ თვითმმართველობის არჩევნებში მან ისევ „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთ დანაყოფს - ხაზარაძეს ან გახარიას მისცა ხმა, თუმცა, „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 47 პროცენტი მიიღო და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების იდეაც წარსულს ჩაბარდა. 2021 წლის ნოემბრიდან 2022 წლის თებერვლის ბოლომდე ამ ახალგაზრდის „ფეისბუკ“-აქტივობა ექსკლუზიურად საკაშვილის შიმშილობას და გათავისუფლებას უკავშირდებოდა. როგორც ყველა კლასიკური ფსევდოშუაძისტი, ისიც წერდა, რომ ახლა სააკაშვილის წარსულის გარჩევის დრო არ იყო და მხოლოდ მისი სიცოცხლის გადარჩენაზე უნდა გვეფიქრა. ამ გულწრფელ ახალგაზრდას მოგვიანებით ოდნავი გულისწყვეტაც კი არ გამოუხატავს, როცა სააკაშვილმა ორი წლის თავზე გადანყვიტა, რომ აღარ კვდებოდა და სიმუულანტობა პრინციპულად შეწყვიტა.

მრავალი დაშვებული შეცდომის მიუხედავად, გულწრფელმა ახალგაზრდამ საკუთარი ანალიტიკური უნარების კიდევ ერთხელ მყარად ირწმუნა, როდესაც უკრაინაში ომი დაიწყო. ომის პირველივე დღეს მან ვლადიმირ ზელენსკი ცივილიზებული სამყაროს ლიდერად და მსოფლიო გმირად გამოაცხადა. დღეს კი ხვდება ეს ახალგაზრდა, რომ მისი ანალიტიკური დასკვნები სიმართლისგან უკიდურესად შორს იყო, თუმცა, შეცდომის აღიარება ერთხელაც არ უფიქრია. ამ ახალგაზრდის „ფეისბუკს“ დღემდე ამშვენებს წარწერა „სლავა უკრაინე“ და ჩარჩო ევროკავშირისა და უკრაინის დროშებით, სადაც საქართველოს დროშისთვის ადგილი ვერ გამოიძებნა.

2022 წლის თებერვალში გულწრფელი ახალგაზრდა ერთ-ერთი პირველი გავიდა აქციებზე და პირველ რიგში, რუსეთისთვის სანქციების დაწესება მოითხოვა. მან მყისიერად გააზიარა ლომჯარიას განცხადება, სანქციების არდაწესებას მირჩევნია, ბომბებისგან მიღებულმა ცეცხლმა დაგვნვასო. სანქციების დაწესების პირობებში, საქართველოს ეკონომიკა რომ ჩამოიქცეოდა, ამაზე ეს ახალგაზრდა პასუხს არა საკუთარ თავს, არამედ ისევ ხელისუფლებას მოსთხოვდა. ნაცის ტვინი ასეა მონყობილი - ხან ვერ ფიქრობს და ხან არ ფიქრობს. შემდეგ, ამ ახალგაზრდამ საქართველოს მთავრობის ოფიციალური თანხმობით უკრაინაში მებრძოლი მოხალისეების გაგზავნაც მოითხოვა. მაშინაც კი არ დაუხევია უკან, როცა ბაიდენმა და ჯონსონმა თქვეს, უკრაინაში ჩვენგან მოხალისეების წასვლას რეკომენდაციას არ ვუწევთ, რადგან არ გვინდა, ნატო რუსეთთან ომში ჩაებასო. მეტიც, ომისკენ ღიადაც იქაჩებოდა და გიგაურის განცხადება გააზიარა: რუსეთი უკრაინაში ომს აგებს, ყველა მიმართულებით ომს ვერ დაიწყებს და შესაძლებლობის ეს ფანჯარა უნდა გამოვიყენოთო. ეს ახალგაზრდა, რომელიც, ზოგადად, თავს ვალდებულად მიიჩნევს, ყველაფერ რუსულზე გაღიზიანდეს, საერთოდ არ გაღიზიანდა, როდესაც კიდევ ერთმა „მსოფლიო გმირმა“, დავით არანბიამ რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციაზე მას რუსულ ენაზე მიმართა. აქედან ჩანს, რომ ნაცი ყველაფერ რუსულზე კი არ ღიზიანდება, არამედ თავს ილიზიანებს. ასე ილიზიანებენ დღეს თავს რუსეთზე ნიკოლოზ ე.წ. რაჭველი, ნინო ქათამაძე და სხვა ცნობილი ნაციონალები, რომლებიც 2019 ნლამდე რუსეთში კონცერტს კონცერტზე მართავდნენ. ამ და სხვა ნაციონალებმა საკუთარ თავს დააჯერეს, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ოკუპანტი არა საქართველოს ტერიტორიების ოკუპირების შემდეგ, არამედ უკრაინის ტერიტორიების ოკუპირების შემდეგ გახდა. ასეა ნაცის ტვინი მონყობილი - ხან ვერ ფიქრობს და ხან არ ფიქრობს. ამიტომ, მისთვის რუსულზე გაღიზიანებაც შერჩევითია.

2022 წლის 1-ელ მარტს ჩვენი გულწრფელი ახალგაზრდა საერთოდ გადაირია, როდესაც სანქციების არ დაწესებისა და მებრძოლების არგაგზავნის საბაბით, „მსოფლიო გმირმა“ ზელენსკიმ საქართველოდან ელჩი გაიწვია. „მრცხვენია, რომ ქართველი ვარ“ - ასე გამოეხმაურა ეს ახალგაზრდა ზელენსკის დემარშს. კითხვაც კი არ გასჩენია, რატომ უნდა გაეწვია ზელენსკის ელჩი საქართველოდან, როცა ომის დაწყებიდან ხელინაგზე მეტი ხნის განმავლობაში ელჩი ბელარუსიდანაც კი არ გაუწვევია. არც დაფიქრდა, ხომ არ უკავშირდებოდა ეს ყველაფერი პოდოლიაკისა და დანილოვის პირდაპირ მონოდებებს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ. იმაზე საერთოდ აღარაფერს ვამბობ, რომ პოდოლიაკისა და დანილოვის ამ განცხადებებზე ოდნავი პროტესტიც კი არ გამოუხატავს.

გულწრფელი ახალგაზრდის ანალიტიკური ამბიციები მწვერვალებს მისწვდა, როდესაც დღის წესრიგში ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის საკითხი დადგა. საზოგადოებას მრავლად გავუზიარეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს არაკეთილმოსურნეები და მეორე ფრონტის მსურველები კანდიდატის თემას შანტაჟისთვის იყენებდნენ. ყველას გავუზიარეთ ინფორმაცია ბაკურიანის შეხვედრის შესახებ, სადაც კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ - პარტიები, ენჯეოები და ტელევიზიები შეიკრიბნენ და დაგეგმეს, როგორ უნდა მოეხყოთ რევოლუცია, როდესაც ხაზს ვუსვამ - როდესაც და არა თუ ივნისში კანდიდატის სტატუსს არ მოგვანიჭებდნენ. ეს ჩვენი გულწრფელი ახალგაზრდა პირველი გავიდა აქციაზე, როდესაც კანდიდატის სტატუსი არ მოგვცეს. მან ყველაფერზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დააკისრა და კითხვაც არ დაუსვამს იმაზე, თუ რატომ არ მიანიჭეს სტატუსი საქართველოს და მიანიჭეს მოლდოვას, რომელიც დსთ-ს წევრია, რუსეთთან სანქციებს თავადაც არ მიუერთდა და თუკი რაიმეთი გამოირჩევა, კორუფცია და გაუმართავი სახელმწიფო ინსტიტუტებია. გულწრფელ ახალგაზრდას კითხვები მაშინაც არ გასჩენია, როდესაც ევროკომისიამ რამდენიმე თვეში ქულებით შეფასება გამოაქვეყნა და გაირკვა, რომ საქართველო კანდიდატ მოლდოვასაც და კანდიდატ ბოსნიასაც დიდი უპირატესობით უსწრებდა.

გულწრფელმა ახალგაზრდამ მაშინ გააზიარა „ნაციონალი“ პოლიტიკოსების, „ენჯეოენიკების“ და ჟურნალისტების განცხადებები იმის შესახებ, რომ სტატუსის ვერ მიღებით საქართველომ 14 მილიარდი ევრო დაკარგა და ქვეყანამ მყისიერი გამდიდრების შანსი გაუშვა ხელიდან. ხელინდნახევარში ეს გულწრფელი ახალგაზრდა საერთოდ არ გაბრაზებულა, როდესაც იმავე ადამიანებმა მას უთხრეს, რომ თურმე, კანდიდატის სტატუსი არავითარი ფინანსურ-ეკონომიკური სარგებლის მომცემი არ ყოფილა. ძუალედში, ამ გულწრფელმა ახალგაზრდამ გააზიარა სხვადასხვა სტილის ნაციონალების არაერთი განცხადება იმის შესახებ, რომ ამ ხელისუფლებით საქართველო ვერასოდეს მიიღებდა კანდიდატის სტატუსს. თუმცა, დღემდე ეს პოსტებიც კი არ ნაუშლია, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი „ქართული ოცნების“ პირობებში უკვე მიიღო. გასული წლის დეკემბერში ის არ მივიდა აქციაზე, სადაც ხელისუფლებამ და ევროკავშირის ელჩებმა კანდიდატის სტატუსი ერთად აღვნიშნეთ.

მოკლედ, ამდენი შეცდომის მიუხედავად, ეს ჩვენი გულწრფელი ახალგაზრდა დღესაც აქციაზე დგას. არც ქართული კანონი ნაუკითხავს და მით უმეტეს, არც რუსული, თუმცა, აქვს რწმენა, რომ ქართული კანონი რუსულია. ხშირად აზიარებს ხოლმე ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორების და „ენჯეოენიკების“ ვიდეოებს, სადაც ეს ადამიანები ათას ტყუილს ამბობენ. ის კი, ამ ყველაფერს არც ამოწმებს, რადგან მისთვის ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორიც და „ენჯეოენიკიც“ ღმერთის სნორია, რომლის სიტყვასაც გადამონმება საერთოდ არ სჭირდება. ამ ყველაფრის ფონზე, დღის წესრიგში დგება საკითხი: ვის უნდა გაჰყვეს ხელისუფლება - საუალო ინტელექტის მქონე ამ გულწრფელ ახალგაზრდას და მის თანამოაზრეებს, თუ იმ ახალგაზრდა, საუალო ასაკის და ასაკოვან ჩვენს თანამოქალაქეებს, რომლებიც გასული 3 ნლის მანძილზე მოვლენებს სწორად აანალიზებდნენ, არცერთ ხელოვნურად შემოგდებულ პროვოკაციას არ აჰყვნენ და სახელმნიფოს სიმყარის შენარჩუნებაში დაეხმარნენ? ერთი თვის წინ საინტერესო კვლევა ჩავატარეთ. გამოვიკითხეთ, ამომრჩევლის რამდენი პროცენტი უჭერდა მხარს „ქართულ ოცნებას“ ინტელექტის დონის მიხედვით. რესპონდენტების ინტელექტი, ანუ ⅓ შევამონმეთ და ისინი მაღალი, საშუალო და დაბალი ინტელექტის კატეგორიებად დავყავით. კვლევით დადგინდა, რომ „ქართულ ოცნებას“ მარტში ამომრჩევლის 61,3 პროცენტი უჭერდა მხარს. ამასთან, მაღალი ინტელექტის მქონე ამომრჩეველში ჩვენი მხარდაჭერა 73,8 პროცენტი იყო, ხოლო საშუალო ინტელექტის მქონე ამომრჩეველში - მხოლოდ 45,6 პროცენტი.

ზოგადად, სახელმნიფოსთვის ყველაზე საშიში საშუალო ინტელექტისა და ცოდნის მქონე ადამიანების დომინირებაა, რასაც დანინგ-კრუგერის თეორიაც ადასტურებს. ამ თეორიის თანახმად, საშუალო ინტელექტისა და ცოდნის მქონე ადამიანს ახასიათებს თავდაჯერებულობის ყველაზე მაღალი ხარისხი. ადამიანს, რომელსაც კანონი არ ნაუკითხავს, მაგრამ ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორისგან და ოკეანის გაღმიდან მოისმინა, რომ ეს კანონი რუსულია, ყველაზე მყარად სწამს, რომ მის მიერ ნაუკითხავი კანონი ცუდია. გულწრფელობას რაც შეეხება, მას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც ის ცოდნითა და ინტელექტით არის გამყარებული. ცოდნისა და ინტელექტის არმქონე და თავდაჯერებული ადამიანი რუსულ ტანკზე უარესია. როდესაც 29 ნლის გიგლა ბერბიჭაშვილმა 70 ნლის ილია ჭავჭავაძეს ესროლა, მას ღრმად სწამდა, რომ თავად იყო პროგრესული გულწრფელი ახალგაზრდა, ხოლო ილია ჭავჭავაძე - ჩამორჩენილი არაკეთილსინდისიერი მოხუცი. ბერბიჭაშვილს და მის თანამოაზრე ახალგაზრდებს ეს რწმენა ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ ჩაუნერგა. მსგავსი მეთოდებით შუამაბს ფსევდოლიბერალური იდეოლოგიაც, რომელმაც კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ პირდაპირ თუ ირიბად მიმდევარ ახალგაზრდებს დააჯერა, რომ სწორედ ისინი არიან გულწრფელობისა და პროგრესულობის მაგალითი ამ ქვეყანაში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ არა ჩემი ნაცნობი გულწრფელი ახალგაზრდის მოთხოვნების მიხედვით, არამედ 29 აპრილს „ქართული ოცნების“ აქციაზე მოსული 200 ათასი ახალგაზრდა, საშუალო ასაკისა და ასაკოვანი ადამიანის კარნახით. ჩვენ ვიმოქმედებთ ქართველი ამომრჩეველის 60 პროცენტზე მეტის დაკვეთით, რომელიც „ენჯეოების“ გამჭვირვალობას და შესაბამისად, საქართველოს მშვიდობიან მომავალს მყარად და გააზრებულად უჭერს მხარს.

ყველა გულწრფელ ახალგაზრდას კი, რომელიც არასწორ გზას ადგას, გულწრფელად ვთხოვ, საკუთარ წარსულ ნაბიჯებს კრიტიკულად შეხედონ, რომ სამომავლოდ მსგავსი შეცდომები აღარ დაუშვან. ასეც და ისეც, გპირდებით, რომ ქართული სახელმნიფო იზრუნებს ყველა გულწრფელ ახალგაზრდაზე, მათ შორის ისეთებზეც, რომლებიც დღეს შეცდომაში არიან შეყვანილი და ვერ აცნობიერებენ, თუ რაშელა უბედურება აიცილა მას ქართული საზოგადოების უმრავლესობამ და მის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ თავიდან. ყველა გულწრფელ ახალგაზრდას ვთხოვ, კარგად გაიაზროს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ვიაროთ ღირსებით ევროპისკენ, რადგან ევროკავშირში შესვლა მხოლოდ ღირსებით არის შესაძლებელი. 2030 წლისთვის საქართველო სწორედ ღირსებით გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმნიფო“,- ნათქვამია ირაკლი კობახიძის ღია ხერილში, რომელსაც ის „ფეისბუქზე“ აქვეყნებს.

„ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მე-9, მე-10, მე-11 კლასები და მათი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რუსუდან გონაშვილი შეუერთდა „ფინედუ“-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსს სახელწოდებით „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“.

ნაწარმოების განხილვამდე მასწავლებელმა, რუსუდან გონაშვილმა, სკოლაში მოიწვია ფინედუს სერტიფიცირებული ტრენერი, მაია ლაპიაშვილი, რომელმაც მოსწავლეებს (მე-9, მე-10, მე-11 კლასი) ჩაუტარა ტრენინგი „ფინანსური განათლება მარტივად“ (დაზოგვა, ბიუჯეტირება, ფინანსური უსაფრთხოება) და „დაზოგვა და ფინანსური უსაფრთხოება“ (დაზოგვის ფორმალური და არაფორმალური მეთოდები, ანაბრის ტიპები, ბანკების ფუნქციები, ფიშინგი და სხვა რისკები).

მაია ლაპიაშვილს თანატრენერობას უწევდნენ პირველი საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრები მარიამ ტოკლიკიშვილი და ანანო გიგაური. ტრენინგზე ისაუბრეს იმაზე, თუ ფინანსური ცოდნის, ქცევებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა როგორ ეხმარება ადამიანს გარემოს, მის წინაშე არსებული რისკებისა და შესაძლებლობების სწორად შეფასებაში და ასწავლის გონივრული, გააზრებული, პასუხისმგებლობასა და შესაბამის ინფორმაციაზე დაფუძნებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას, საკუთარი უფლებების დაცვასა და პირადი თუ ოჯახის ფინანსური კეთილდღეობის მიღწევის სწორ გზებს. ტრენინგის განმავლობაში მოსწავლეებმა მიიღეს ცოდნა ბიუჯეტის არსსა და სახეებზე. გაეცვნენ პირადი ბიუჯეტის შაბლონს და მოსინჯეს მისი შედგენა პრაქტიკული დავალებების მეშვეობით.

ბავშვებისთვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა ეს შეხვედრა. ტრენინგის შემდეგ გაეცვნენ „ფინედუ“-ს საგანმანათლებლო პორტალს და გაიღრმავეს ცოდნა ფინანსურ საკითხებზე. განსაკუთრებით დაინტერესდნენ პორტალზე მოთავსებული ინფორმაციით ფულის დაზოგვასა და ყულაბის გამოყენების მიზნობრიობის/სარგებლიანობის შესახებ.

შემდეგ ეტაპზე მასწავლებელმა ლიტერატურულ რესურსად შეარჩია სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი - „უბედური დიდვაჭარი“, რადგან ის საშუალებას იძლევა, მოსწავლეებს განეხილათ ისეთი ფინანსური განათლების საკითხები, როგორიცაა: ფული, დაზოგვა დაზღვევა, პირადი ფინანსების მართვა (საჭიროება და სურვილი, პრიორიტეტების დალაგება შესაძლებლობების მიხედვით), კერძო და საჯარო საკუთრება, მომხმარებლის უფლებები, ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება, ინვესტიცია.

ტექსტი სტანდარტულად არ ახსნილა. ეს იყო გაკვეთილი-ვიქტორინა, რომელიც ჩატარდა სკოლაში 2024 წლის 9 მაისს. იგავ-არაკი დაყოფილი იყო ეპიზოდებად და თითოეული ეპიზოდის შემდეგ წინასწარ მომზადებული თემატური კითხვების საშუალებით მოსწავლეებს უნდა გაეაზრებინათ მონაკვეთი და ემსჯელათ პერსონაჟების საქციელზე, სურვილებზე, გადაწყვეტილებებზე,

/გაგრძელება გვ.4/

ირაკლი კიკილაშვილი - 75

„მზრუნველი, თბილი, მოზომილი, საოცრად შრომისმოყვარე, ბავშვური ღიმილით, თავისებური სიარულის მანერით, დაუღალავი, მუდამ აქტიური“ - ამ და კიდევ ბევრი გულშიჩამწვდომი ეპითეტით მოიხსენიებდნენ კომპოზიტორს, მსახიობს, მომღერალს, არბოშიკის სამუსიკო განყოფილების ყოფილ დირექტორს ირაკლი კიკილაშვილს, 10 მაისს, არბოშიკის სამუსიკო განყოფილების საკონცერტო დარბაზში შეკრებილი მეგობრები, კოლეგები, უბრალოდ ნაცნობები, რომელთაც ერთხელ მაინც ჰქონიათ მასთან შეხება. ირაკლი კიკილაშვილს, რომელმაც 30 წელი გაატარა არბოშიკში, აღზარდა უამრავი თაობა და წარუშლელი კვალი დატოვა სწორედ ამ და არამარტო ამ თაობის მეხსიერებაში. მას 75 წელი შეუსრულდებოდა.



ღონისძიების წამყვანმა, ამჟამად არბოშიკის საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგმა და ირაკლი კიკილაშვილის ყოფილმა მოსწავლემ, დარეჯან ბაღაშვილმა, კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრე საზოგადოებას მისი ბიოგრაფია: „ირაკლი კიკილაშვილი დაიბადა 1949 წელს ბოლნისში. 1965 წელს დაამთავრა დედოფლისწყაროს რუსული საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის მეოთხე მუსიკალურ სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ 1971 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საფორტეპიანო განყოფილებაზე. კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში დაოჯახდა. მისი რჩეული ასევე მუსიკის მცოდნე პიანისტი დარეჯან შანშაშვილი გახდა. მათ ორი ქალიშვილი, თამარი და რუსუდანი შეეძინათ. ყველაზე მეტი დრო მათ სწავლა-განათლებას შეალია. ისინი დღეს შემდგარი პედაგოგები არიან. თამარმა სავიოლინე განყოფილება დაამთავრა და მუსიკალურ სკოლაში პედაგოგია მრავალი წელი. პედაგოგიური, ასევე მრავალწლიანი სტაჟი აქვს რუსუდანს, რომელიც ასევე ხელოვნებას ემსახურება სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში“.

რატომ არბოშიკი? რა აკავშირებდა ირაკლი კიკილაშვილს სოფელ არბოშიკთან?

1973 წელს სოფელ არბოშიკში გაიხსნა მუსიკალური სკოლა, სადაც ირაკლი კიკილაშვილი დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა და პარალელურად აგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან არბოშიკში 30 წელი გაატარა.

ამავე დროს იგი მღეროდა დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებულ ვაჟთა ქართულ-ხალხურ ანსამბლ „ხორნაბუჯში“. პედაგოგიურ და მუსიკალურ მოღვაწეობასთან ერთად, ირაკლი კიკილაშვილი, თამაშობდა როლებს რაიონის კულტურის სახლის სცენაზე, რამაც კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა და მრავალმხრივი გახადა მისი შემოქმედებითი ცხოვრება. ნათამაშები აქვს 9 როლი, მათ შორის სპექტაკლებში, „ტირიფის ქვეშ“, „ერისთავის სამშობლო“ და სხვ. შემოქმედებით საქმიანობას თან სდევდა გასტროლებიც: აზერბაიჯანი, ლიტვა, ჩეხოსლოვაკია.

ამ მოგონებების გახსენება დამსწრე საზოგადოებასთვის საკმაოდ სენტიმენტალური აღმოჩნდა. დარბაზისთვის თვალი რომ მოგევლოთ, იქ მსხდომთაგან ყველას თვალზე შენიშნავდით ცრემლს, რომელიც უბრალოდ, არსაიდან არ ჩნდება. ის იმ სიყვარულიდან, პატივისცემიდან, რიდისა თუ მეგობრული დამოკიდებულებიდან მოდიოდა, რომელიც ირაკლი კიკილაშვილს თითოეულ მათგანთან აკავშირებდა. მოგონებებს ფონად ირაკლი კიკილაშვილის ნაწარმოებები სდევდა თან, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებდა ნოსტალგიას, მონატრებას, სიყვარულს, დიდებული, ნიჭიერი და საქმის უბადლო მცოდნე ადამიანის გახსენებას რომ ახლდა თან. სცენაზე წარსდგნენ მარიამ კიკილაშვილი, თეკლა გაბიდაური, თამუნა არაბული, კესარია გოგაშვილი, თეკლა ნიკლაური, შვილი თამარ კიკილაშვილი და პატარა შვილიშვილები - ანა და სალომე სეხნიაშვილები, რომლებმაც თავიანთი წკრიალა ხმით მაყურებლის გული მოიგეს.

წამყვანმა რამდენიმე გამორჩეული მომენტი გაიხსენა მისი და ირაკლი კიკილაშვილის ურთიერთობიდან, ასევე შეკრებილი საზოგადოებიდან ვასიკო მაჭარაშვილმა, მარინა ჭუმბურიძემ, მზია გოდერძიშვილმა, ოლიკო დონჯაშვილმა, სოლომონ გოგაშვილმა, ლალი ბაღაშვილმა გაიხსენეს ირაკლი კიკილაშვილი, მასთან ურთიერთობა, მეგობრობა, თანამშრომლობა. მათი სიტყვები დაგარწმუნებდათ, რომ ადამიანმა, რომელზეც ისინი საუბრობდნენ, მათზე წარუშლელი კვალი დატოვა. ის გახდა მაგალითი მეგობრობის, სიკეთის, თანადგომის, პროფესიონალიზმის.

„მისი ნაწარმოებები მხოლოდ ხელნაწერის სახით გადადის ხელიდან ხელში და სრულდება ჩვენი რაიონის მუსიკალურ სკოლებში, ასევე ზესტაფონის ელდარ შალამბერიძის სახელობის მუსიკალურ სკოლაში (ელდარ შალამბერიძე, ირაკლი კიკილაშვილის ჯგუფელი და დიდი მეგობარი იყო). 2000 წელს ირაკლი კიკილაშვილი დაჯილდოვდა ნიკო ფიროსმანის ნახატებზე შექმნილი საბავშვო ალბომისთვის, რომელიც ხშირად სრულდებოდა მისი მშობლიური არბოშიკის მუსიკალურ სკოლაში. 2004 წელს მას მიენიჭა საპატიო დედოფლისწყაროელის სახელი და დასახელდა წლის საუკეთესო პედაგოგად“ - აღნიშნულია მასზე გამოცემულ ბროშურაში, რომელიც მისმა მოსწავლემ ოთარ კიკილაშვილმა დაბეჭდა. ეს ბროშურა, დამსწრე საზოგადოებას ირაკლი კიკილაშვილის ოჯახმა სახსოვრად გადასცა. გარდა ამისა, სულ ახლახანს მწერალთა კავშირმა ირაკლი კიკილაშვილს ქართული კულტურის ამაგდარის წოდება მიანიჭა ქართულ კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი, კომპანია „მადარტი“ და მისი დამფუძნებელი დავით ჭრელაშვილი, ამბაკო ბაღაშვილი, ოთარ კიკილაშვილი, ანი დათუკიშვილი, ავთანდილ ბატიაშვილი.

„ჩემი ცხოვრება ჭიდილში გავატარე და ამით ბევრმა ისარგებლა. ძალიან გულნატკენი ვარ. გეგმები მქონდა, კიდევ მინდოდა გამეკეთებინა რაღაც, მაგრამ დროში ვეღარ ვეტევი. წლები გაფრინდა და ამის გაკეთება დღეს უკვე შეუძლებელია. ერთადერთი, რაც მინდა და მაქვს იმედი ისაა, რომ ჩემი ხელნაწერი ნოტები დავბეჭდო ჩემს სიცოცხლეშივე. თუ არ მოესწრება, ჩემი შვილების იმედი მაქვს, ისინი გააკეთებენ ამას ჩემი გარდაცვალების შემდეგ“ - ამბობდა ირაკლი კიკილაშვილი. მხოლოდ ერთი ალბომი დაიბეჭდა და მოესწრო მის სიცოცხლეში, რამაც ძალიან გაახარა. მისმა ერთ-ერთმა მოსწავლემ ეს დიდი ხნის სურვილი რეალობად აქცია.

საკმაოდ ემოციური იყო შვილის რუსუდან კიკილაშვილის გამოსვლა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და ამ თარიღის ოჯახთან ერთად გაზიარებისთვის. შეხვედრის ბოლოს გაიჟღერა იდეამ, რომელიც არბოშიკის სამუსიკო განყოფილებისთვის ირაკლი კიკილაშვილის სახელის მინიჭებას გულისხმობდა. დამსწრე საზოგადოება ამ იდეას აღფრთოვანებითა და ოვაციებით შეხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ირაკლის პირადად არ ვიცნობდი და მასთან კომუნიკაცია არ მქონია, ამ ღონისძიებამ საოცარი სითბო, სიყვარული და პატივისცემა მაგრძნობინა მის მიმართ. ამდენი თბილი, კეთილი სიტყვა, შეუძლებელია ლიტონი სიტყვები იყოს. შეუძლებელია ეს დაუმსახურებლად თქვან ადამიანზე ამდენი წლის შემდეგ. წარმოუდგენელია ყოფილმა მოსწავლეებმა, კოლეგებმა, ნაცნობებმა ცრემლებით მოგიგონონ და ეს ტყუილი იყოს, არ გეკუთვნოდეს. მადლობა მის ოჯახს, ასეთი დღის ჩუქებისთვის. ყველას, ვინც არ ვიცნობდით ბატონ ირაკლის, ის დაუსწრებლად, გაცნობის გარეშე შეგვაყვარეთ.

ასეთი სიყვარული რჩეულების ხვედრია. სწორედ ასეთი იყო ბატონი ირაკლი-რჩეული, ხალხის უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით დაჯილდოვებული!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

გაჯავაჰრინოთ ჯეჯამიწა – ჩვენი ნამაზი სახლი

დედამიწის დაცვის მიზნით დაიწყო 3 მაისს ქვემო ქედის სკოლაში საინტერესო ღონისძიება. ძირითადად VII-VIII და IX კლასის მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით. ორგანიზატორები იყვნენ ამავე კლასების ხელმძღვანელები, გვანცა მამუკაშვილი და ნათია წიკლაური. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო: „მდგრადი განვითარების 17 მიზნის ფარგლებში დედამიწის დღესთან დაკავშირებით ძირითადად მე-13 მიზნის“ განხორციელება.

„დედამიწა ავადაა!“ - სწორედ მის მკურნალობას ღაღადებდა ეს ღონისძიება. მონაწილე ბავშვებს სიღრმისეულად გაცნობიერებული ჰქონდათ გაეროს ქვეყნების შეთანხმების შინაარსი მდგრადი მომავლის მისაღწევად.

ეს მიზნები, როგორც უკვე აღვნიშნე, დღევანდელ გლობალურ გამოწვევებს ეხება, კონკრეტულად: სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებს; ასევე, კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს.

ბავშვებმა მასწავლებლებთან ერთად, თვეების მანძილზე, კოლოსალური შრომა გასწიეს, პედაგოგებთან ერთად საკუთარი ფანტაზიაც ჩააქსოვეს. მრავალი მიმართულებით გასწიეს უღელი, მოამზადეს მრავალმხრივი საკითხებით დახუნძლული სხივმოფენილი საინფორმაციო დაფები: დედამიწა ავადაა, დედამიწა შენი სახლია; შექმნეს იდეების კალეიდოსკოპი, რითაც ძალიან დაამშვენეს სკოლის კედლები.

დებულების 17 მიზნიდან მხატვრული ღონისძიების ძირითადი ნაწილი მიეძღვნა მე-13 მიზნის გეგმის განხორციელებას, თუმცა ისინი 17-ივე მიზანს ასრულებენ. კვლავაც აგრძელებენ ამ მისიას და გეგმის დასრულებას საზღვრავენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისინი სხვა კუთხიდანაც აღრმავებდნენ საქმიანობას. განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა პრეზენტაციები:

1)**შეხვედრა წარმატებულ ექიმთან, თანასოფლელ ავთანდილ ხარხელაურთან.** მოსწავლეებმა თემების წაკითხვის შემდეგ გამართეს დიალოგი საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით. იყო კითხვა-პასუხი, რაც შეეხებოდა ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის პრობლემას. სტუმრად მოწვეული ექიმის პასუხები შეიცავდა დიდაქტიკურ, აღმზრდელობით შინაარსს.

2)საინტერესო პრეზენტაცია წარმოადგინეს **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაუდაბნოების შესახებ**. ავტორებმა ამ გლობალური პრობლემის შესახებაც მათ მიერ მომზადებული ინფორმაცია წარადგინეს.

მოსწავლეების მიერ შესწავლილი და მომზადებული ყველა მასალა ინახება მასწავლებლებთან. ღონისძიებაზე კი ისინი საკმაოდ მდიდარი პროგრამით წარდგნენ. დარბაზი სავსე იყო მოსწავლეებით, პედაგოგებით, მშობლებით. წარმოადგინეს ინსცენირება „დედამიწა ავადაა“, რომელსაც ნამდვილად ეფექტური და დასამახსოვრებელი შესავალი ჰქონდა. თავწაკრული, შეწუხებული დედამიწა შემოჰყავთ სხვა პლანეტის ექიმთან. მას სახე მოსვრილი აქვს მურით, ტანზე ძველი ძონძები, პარკები, ბოთლები და კონსერვების ქილები ჰკიდია. ადვილი მისახვედრია ეს მეტაფორული მორთულობა. არანაკლებ მიმზიდველი იყო ინსცენირების ფინალი, როცა ექიმ-შემსრულებელმა ბრძანა: „**დაუძახეთ დედამიწის შემწუხებლებსა და მკვლელებს, შემოჰკარით განგაშის ზარი! ამას ახლა კიდევ ეშველება რამე, მაგრამ ცოტაც რომ დავაგვიანოთ, მერე მოგჭამათ ჭირი, მისი გამოგრუნების იმედი ძალიან ცოტა იქნება!**“

საინტერესო იყო ცეკვა „ფარცა“. მოცეკვავეები შემოცვივდნენ მუსიკის ფონზე, მიესივნენ დედამიწას, უწმენდდნენ მურს, საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, უადგილოდ დაყრილებს, უნამუსოდ რომ აბინძურებენ ჩვენს გარემოს. მოსწავლეები ასუფთავებდნენ დედამიწას და მაგალითს აძლევდნენ თანასოფლელებს. ისმის მათი ხმები:

„დედამიწა ავადაა, დედამიწას უნდა შველა,
ექიმი, თუ მიწის მუშა, ფეხზე უნდა დადგეს ყველა!“

ღონისძიების ერთ-ერთი ნომერი იყო დამამშვენებელი და განსაკუთრებული. საოცარ კაბებში გამოწყობილი გოგონები პოდიუმის მუსიკას ფეხს უწყობდნენ. უცნაურად შეკერილი ჩაცმულობა: ნაგვის ქაღალდებით ცელოფნებით, გაზეთებითა და ძველი ჟურნალებით, ამით მიგვანიშნეს, რომ ესეც დედამიწის დასუფთავების ერთ-ერთი მეთოდი უნდა იყოს.

აუცილებელი რჩევებით სავსე სტრიქონებს ისროდნენ ჩვენი მომავალი თაობის საიმედო წევრები. იყო თემატური სიმღერები: „ტყეს ნუ კაფავ, ძმობილო“, „ჩიტები მღერიან“, „საოცარი ხარ შენ, დედამიწავ!“. ყველა დეტალის სტატიაში გადმოცემა რთულია, მაგრამ მინდა სანუგეშოდ გავიმეორო ავტორის სიტყვები:

„მოდის საქართველო, ე, მაგის ჯიშისა,
რომ მტერი ვერაგი კრთებოდეს შიშისგან“.

მადლობა ამ რთული საქმის შემსრულებელ კოლეგებს, ქალბატონებს - **გვანცა მამუკაშვილსა** და **ნათია წიკლაურს,** ჩვენს პატარა მუსიკოს-მომღერლებს, IX კლასის გოგონებს.

დასასრულს გთავაზებთ კიდევ ერთ ლექსს ღონისძიებიდან:

„დედას გაფიცებთ, ამ მწვანე კორდებს,
ბეტონის რუხი კედლებით ნუ ცვლით!
ნუ მოინელებთ ამ სილამაზეს,
გაუმაძღარი ცხოვრების მუცლით!“

გულნარა ტვილდიანი,
ქვემო ქედის სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი.

„ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“

/დასაწყისი გვ.3/

გაეაზრებინათ ფინანსური განათლების საკითხები, მასთან დაკავშირებული გამოწვევები, სირთულეები, შესაძლებლობები და გაეკეთებინათ შესაბამისი დასკვნები ტექსტიდან გამომდინარე. პასუხების გაცემისას მოსწავლეებს უწევდათ „დროში მოგზაურობა“, რადგან არაკში აღწერილი სიტუაცია უნდა გადმოეტანათ თანამედროვეობაში და პასუხების გაცემისას, შეძლებისდაგვარად, გამოეყენებინათ ძირითადი საბანკო ტერმინები და აეხსნათ ისინი.

ვიქტორინაში მონაწილეობდა სამი გუნდი (კლასების მიხედვით). ტექსტი ყველასთვის უცნობი იყო. ვიქტორინა შედგებოდა 4 ტურისგან. მოსწავლეებს კითხვებზე პასუხის გასაცემად ჰქონდათ 7 წუთი. პასუხებს აფასებდა ჟიური, რომლის შემადგენლობაში იყო „ფინედუს“ სერტიფიცირებული ტრენერი მაია ლაპიაშვილი და სკოლის დირექტორი თამარ ქეთელაური. თითოეული სწორი პასუხი ფასდებოდა 25 ვირტუალური ლარით. გამარჯვებისთვის საჭირო იყო ყველაზე მეტი „ფულის გამომუშავება“. თანაბარი „მოგების“ დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ბლიც-ტური დამატებითი კითხვებით, რომლის გამართვაც არ დაგვჭირდა, რადგან მცირედი უპირატესობით გაიმარჯვა მეცხრე კლასის გუნდმა. თითოეული ტურის შემდეგ მოსწავლეები იღებდნენ კვალიფიციურსა და სანდო უკუკავშირს ჟიურის წევრ „ფინედუს“ ტრენერისგან.

ვიქტორინის ბოლოს მოსწავლეებმა ისაუბრეს იგავის პერსონაჟზე, დაშვებულ შეცდომებზე და საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ ცოდნა ფულია და ფულის სწორად, პატიოსნად გამომუშავება, მიზნობრივი ხარჯვა და დაბანდება კი ადამიანისგან ბევრ უნარსა და ცოდნას მოითხოვს.

„ამ გაკვეთილი-ვიქტორინის მიზანიც ეს იყო: მოსწავლეებს ესწავლათ გააზრების, ანალიზის, დასკვნების გამოტანისა უნარი; განვითარებოდათ სტრატეგიული და ფინანსური დაგეგმარების, დასკვნების არგუმენტირებულად მიღების უნარი; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

დიდი მადლობა მოსწავლეებს თემით დაინტერესებისა და აქტიური მონაწილეობისათვის. განსაკუთრებული მადლობა „ფინედუს“ სერტიფიცირებულ ტრენერ მაია ლაპიაშვილს თანადგომისა და გაწული დახმარებისათვის, მადლობა - „ფინედუ“-ს ამ შესაძლებლობისათვის“-აცხადებს პედაგოგი რუსუდან გონაშვილი.

რაში გამოვიყენოთ მორჩენილი პასკა? – 3 იდეა, თუ გაყინვა არ გსურთ

სააღდგომოდ თითქმის ყველა ოჯახში ცხვება პასკა. თუკი თქვენც ჩემსავით რამდენიმე პორცია გამოაცხვეთ და აღარ იცით, ამდენი სად წაიღოთ... ანდაც, ჩვენ შორის დარჩეს და, ცოტა უგემური გამოგივდათ, 3 იდეას შემოგთავაზებთ მის ეფექტურად გამოსაყენებლად.

თავშივე გეტყვით, თუკი სახლში გემრიელი პასკა გაქვთ, მისი გაყინვა საუკეთესო იდეაა. მართალია გაყინვის მეთოდი თავიდან ყველას როდი მოსწონს, მაგრამ ვინც კი სცადა, ყველა კმაყოფილი დარჩა.

1. პასკის „ყიყლიყო“

საუზმისთვის არაჩვეულებრივი იქნება. პასკა სასურველ ნაჭრებად დაჭერით, კვერცხი ცოტა რძესთან ერთად გათქვიფეთ. პასკის ნაჭრები შიგნით ამოავლეთ და ცხიმიან ტაფაზე ორივე მხრიდან დაბრაწეთ. ტკბილი ყიყლიყო ფრანგული ტოსტის სტილში მზად არის!

2. „ჩინური ბორბი“ პასკით

ალბათ ყველას მოგვიმზადებია ე. წ. ჩინური ტორტი ხრაშუნა ორცხობილებით ან ბისკვიტით. ეჭვი არ შეგეპაროთ, არცერთ მათგანს არ ჩამოუვარდება პასკა. მოსამზადებლად დაგჭირდებათ:

- •დაჭრილი ხილი
- •პასკა
- •თხილეული
- •ქოქოსის ფანტელი
- •მოხარშული კრემი

3. პასკის მაფინები

დარწმუნებული ვარ, პასკისგან მაფინების მომზადებაზე აქამდე არ გიფიქრიათ. დაგჭირდებათ:

*400 გრ პასკა
*150 გრ გაყინული კენკრა
*4 კვერცხი
*400 მლ რძე
*4 სკ შაქარი
*მარილი გემოვნებით
*მწიკვი დარიჩინი
*კარაქი ან ზეთი ფორმებისთვის

პასკა დაჭერით კუბიკებად. ღრმა თასში ათქვიფეთ კვერცხი, დაუმატეთ დარიჩინი, მარილი და შაქარი, ბოლოს - რძე და კვლავ გათქვიფეთ. პასკის ნაჭრებს დაასხით ნარევი, დააყარეთ კენკრა და კარგად ამოურიეთ. გააჩერეთ 15 წუთით, რომ გემოები კარგად გაუჯდეს.

მაფინის ფორმებს გულუხვად წაუსვით კარაქი და გადაიტანეთ პასკის მასა. გამოაცხვეთ მაფინები 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში 20-25 წუთის განმავლობაში.

„რისთვის ვიტანჯე ამდენი ხანი, რატომ არ მიშვებენ სახლში?“

1942 წლის 6 დეკემბერს ქართველი მღვდელი გრიგოლ ფერაძე ოსვენციმის გაზის საკანში სხვის მაგივრად შევიდა. ის მაშინ 43 წლის იყო.

„გზის ნახევარი გვქონდა გავლილი, როცა ხელმარცხნივ წმინდა ელიას სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია დავინახეთ, ხოლო ბეთლემის შესასვლელთან, გზის მარჯვენა მხარეს - რაქელის საფლავი... ერთმა ექსკურსანტმა შემატყო, რომ ჯიუტმა ვირმა გამაწამა, ცხენი დიდსულოვნად დამითმო და მითხრა: „თქვენ, როგორც ქართველს, ამ ქალაქში ვირით შესვლა არ გეკადრებათ“.

ეს ციტატა გრიგოლ ფერაძის დღიურიდანაა, რომელსაც 1936 წელს, ისრაელსა და სირიაში მოგზაურობისას წერდა. ის იქ ქართული და სომხური წარწერების მოსაძებნად იყო ჩასული. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა გარდაიცვალა, მთელი ევროპის შემოვლა მოასწრო.

გრიგოლ ფერაძე 1899 წლის 13 აგვისტოს ბაკურციხეში დაიბადა, მამა მღვდელი ჰყავდა, დედა - მღვდლის შვილი. თავადაც სასულიერო სემინარია დაამთავრა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, ორ ძმასთან ერთად მე-11 არმიის წინააღმდეგ ებრძოლა.

1921 წელს გელათის საეკლესიო კრებაზე გადაწყვიტეს, გრიგოლი ევროპაში სასწავლებლად გაეშვათ. ასე აღმოჩნდა ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც თეოლოგიას და აღმოსავლურ ენებს სწავლობდა, აქედან ბონის უნივერსიტეტში გადავიდა, ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ძალიან ბევრი ენა იცოდა, მათ შორის მკვდარი ენებიც.

„ძალიან კარგად იცოდა გერმანული, რუსული, ფრანგული, პოლონური, ბერძნული, ლათინური, სომხური, სირიული... თან ძალიან კარგ პერიოდში მოუწია გერმანიაში ყოფნა. მაშინ იქ ბევრი ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე იყო, ყველა მათგანთან ჰქონდა კავშირი და ერთობლივი შრომებიც ბევრი დაწერეს. ინგლისში, გრადში, ლაიპციგში ყველგან ქართულ ხელნაწერებს სწავლობდა“, - ამბობს თამარ ჭუმბურიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.

გრიგოლ ფერაძე ბერად 1931 წელს, ლონდონში აღიკვეცა. მოგვიანებით პარიზში მის მიერვე დაარსებულ წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში გაგზავნეს.

გრიგოლ ფერაძის ძმისშვილი რომანოზ ფერაძე ამბობს, რომ ბერად აღკვეცა მას ხილვამ გადაწყვეტინა:

„თავად წერს დღიურში, ძალიან ავად ყოფილა, სიკვდილის პირას. მაშინ ჰქონდა ხილვა, მთელი დარჩენილი ცხოვრება ღმერთს მიუძღვენიო“.

უკან დასაბრუნებელი ბილეთის გარეშე

თეოლოგი დავით თინიკაშვილი ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედიაში აღწერს, როგორ ახასიათებდნენ გრიგოლ ფერაძეს: „როგორც მისი პოლონელი ბიოგრაფი, ჰენრიკ პაპროცკი აღნიშნავდა, მეორე მსოფლიო ომამდე გრიგოლი ევროპაში ყველაზე დიდი სპეციალისტი იყო ქართველოლოგიაში. იულიუს ასფალგის სიტყვით კი, ევროპაში „ქართველოლოგიის განვითარებამ ახალი ბიძგი მიიღო მას შემდეგ, რაც ბონში ქართველმა გრიგოლ ფერაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, გახდა უნივერსიტეტის ქართული ენის მასწავლებელი და დაიწყო თავისი შრომების გამოქვეყნება“.

ევროპაში დარჩენა გრიგოლ ფერაძის არჩევანი არ ყოფილა. უნდოდა საქართველოში დაბრუნებულიყო, საბჭოთა საკონსულოსაც მიმართა, მაგრამ ნებას არ რთავდნენ. დაღონებული კორნელი კეკელიძეს სწერდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრით უზრუნველყოფილი ვარ, საშინლად ვიტანჯები, არაფრის ხალისი აღარ მაქვსო.

„რისთვის ვიტანჯე ამდენი ხანი, რისთვის ვისწავლე, რისთვის მოვიარე თითქმის მთელი ევროპა? რატომ არ მიშვებენ სახლში? რა დავაშავე?“

„მართალია ვერ დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ საზღვარგარეთ უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე აქ გააკეთებდა. ქართულ კულტურას დიდ პოპულარიზაციას უწევდა. აღმოსავლეთმცოდნეების კონფერენციებზე გამოდიოდა, ერთ-ერთზე ისეთი სიტყვა წარმოთქვა, დადგენილება მიიღეს, ქართულ ლიტერატურას მეტი ყურადღება მივაქციოთო. ბევრ ევროპულ ჟურნალთან თანამშრომლობდა. აქაც ცდილობდა, საქართველოს, მისი ლიტერატურის შესახებ გაევრცელებინა ინფორმაცია.

მისი ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომია „უცხოელი პილიგრიმების ცნობები ქართული მონასტრებისა და ქართული ბერ-მონაზვნობის შესახებ წმინდა მიწაზე“. ქართული ავტოკეფალიის შესახებ საუბრისას, ამ ნაშრომს ხშირად იშველიებდნენ“, – ამბობს თამარ ჭუმბურიძე.

რომანოზ ფერაძე ჰყვება, რომ გრიგოლი საქართველოში წერილებს დედის გარდაცვალებამდე აგზავნიდა, შემდეგ კი შეწყვიტა, რადგან ფიქრობდა, რომ ამით მის ძმებს საფრთხე შეექმნებოდათ.

„არ გამოუშვეს საქართველოში, საბჭოთა კავშირს არ უნდოდა აქ თეოლოგები ყოფილიყვნენ. რომ დაიღუპა, იმასაც გვიმალავდნენ, მერე როგორ დაიღუპა, იმასაც. მამა წერილებს რომ წერდა, პასუხი მოსდიოდა, ვითომ ომის დროს, გრიგოლი სადაც ცხოვრობდა, იმ სახლს ბომბი დაეცა და მაშინ დაიღუპა. არადა, მისი ოთახი დღემდე შემორჩენილია ვარშავაში. როგორც ჩანს, ეს წერილები არც აღწევდა ადრესატამდე, სუკის ხელში ხვდებოდა“.

„საქართველო უკვე მკვდარია და ჩვენი აღსასრულიც დადგა?“

დღიურში „იერიქონის ვარდები“, რომელსაც ისრაელსა და სირიაში მოგზაურობისას ყოველდღე წერდა, ჩანს, რომ გრიგოლ ფერაძე გარემოს აკვირდება ერთდროულად როგორც მეცნიერიც და როგორც სასულიერო პირიც, ხანდახან, როგორც უბრალო მოგზაურიც. მისთვის ყველა წვრილმანი ემოციისა და ფიქრის საბაბია.

„ბედუინის გამო ბევრი უსიამოვნება გადამხდა. გზადაგზა ფასს უმატებდა და თან მემუქრებოდა, თუ არ დავყაბულდებოდი, უდაბნოში მარტოს დამტოვებდა“.

„ბერები აქ უზომოდ ფანატიკოსები არიან. ისინი დროის მიღმა ცხოვრობენ და სრულებით არ ადარდებთ, ქვეყნიერებაზე რა ხდება... ერთმა ბერმა მითხრა, პატრიარქი დამიანე ერთი წლის წინ გარდაცვლილაო. „რაო? ერთი წლის წინ?“ - შეაწყვეტინა მეორე ბერმა, „ეს ხომ ხუთი წლის წინ იყო!“... ამგვარ გარემოში წარმოსახვა ძალიან აქტიურდება. როცა დერეფანში კატა დავინახე, ხელის გადასმა დავაპირე, ერთმა ბერმა მკაცრად დამტუქსა. მითხრა, წმინდა ბასილის სწავლების მიხედვით, კატა ქალის სიმბოლოა, რადგან უამრავი ქალური თვისება აქვს. ვინც კატას შეეხება, სამი დღის განმავლობაში უწმინდურია. ამ სამ დღეში თუ მოკვდება, პირდაპირ ჯოჯოხეთში მოხვდება. მე შემეშინდა, რომ სატრაპეზოში აღარ შემიშვებენ და ჭამა ოთახში მომიწევდა“

„ოცი წუთი ვიარეთ და ბეთანია დავინახეთ. შორს მკვდარი ზღვა და წმინდა მდინარე იორდანე მოჩანდა. თვალს არ ვუჯერებდი, რომ ეს იყო ბეთანია - სოფელი, რომელსაც მაცხოვარი ეწვია და სადაც, მისი საუკეთესო მეგობრები, ერთ ძმა და ორი და ცხოვრობდნენ“.

„დიდხანს ვერ დავიძინე. იმაზე ვფიქრობდი, რაც წინამძღვარმა მითხრა, ქართველები აქ ოდესღაც ძლიერნი იყვნენ, მაგრამ ახლა იმ დიდებას ვეღარ დაიბრუნებენო. „ყველაფერი სომხების გამო დაკარგეთ, - თქვა მან, - ასეთია ცხოვრების მდინარება! ადამიანი იბადება,



ვაჟკაცდება და მერე კვდება“ მაშ, მისი აზრით, საქართველო უკვე მკვდარია და ჩვენი აღსასრულიც დადგა? ნუთუ ეს მართლა ასეა? ალბათ, ამ შემთხვევაში ჩვენს დამოკიდებულებას წმინდა მიწის, ჩვენი ძველი ძეგლებისა და ჩვენი ძველი კულტურის აკვნის მიმართ გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება. მაგრამ თუკი ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მაშ რაღას უნდა ჰქონდეს? გონებას ვძაბავდი, რომ მეპოვა ძალა, რომელიც გამომაცოცხლებდა, აღმაფრენას შემმატებდა და მივხვდი, როგორ გვაკლდა თავმდაბლობა და სისპეტაკე. იქნებ, მათ შესწევთ ამის ძალა, ვინც წერს და ლექციებს კითხულობს? არაფრის დიდებით! ამის ძალა ერს, მხოლოდ ერს შეიძლება ჰქონდეს! მე კი რა შორს ვარ ახლა ერისგან!“

გროგოლ ფერაძე ვარშავაში მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის დირექტორად მიიწვიეს. ასე აღმოჩნდა ის პოლონეთში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტურმა გერმანიამ დაიპყრო. 1942 წლის 6 დეკემბერს, 16:45 სთზე ის თავისი ფეხით შევიდა გაზის საკანში. ერთი ვერსიით, მრავალშვილიან ებრაელს გაუცვალა ადგილი, მეორე ვერსიით კი სხვის მიერ მოპარული პურის ქურდობა დაიბრალა. მაშინ პურის მოპარვა სიკვდილით ისჯებოდა.

1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა.

„არა მხოლოდ ჩვენი ოჯახი, უცხოეთში ქართველები რომ მხვდებიან, მეუბნებიან, ხშირად ვგრძნობთ წმინდა გრიგოლის შემწეობასო“, - ამბობს რომანოზ ფერაძე.

„იერიქონის ვარდებში“ გრიგოლ ფერაძე ერთგან წერს:

„მამა ნიკოლასმა გამომაცილა [იერუსალიმში - რ.თ.] და ერთი ძველი ბილიკი და დიდი ლოდი მაჩვენა. აქა-იქ ძველ სასაფლაოთა ნაშთები მოჩანდა. ლოდთან ყვავილები იყო დარგული. მამა ნიკოლასს სწამდა, რომ ქრისტემ თავისი ბოლო ლოცვა სწორედ ამ ადგილას წარმოთქვა. „იქ, ქვემოთ, სადაც ფრანცისკანელთა მონასტერია, - მითხრა მან, - გზა ძალიან ახლოს იყო, აქ კი უფრო სიწყნარე იქნებოდა. აქეთ მომავალი ებრაელები და იუდა აქედან უკეთ გამოჩდებოდნენ“.

„მართლაც, სახარება გვამცნობს, რომ ისინი შორიდანვე მოჩანდნენ“, - დავუმოწმე მეც.

როგორ ვეკონტაქტოთ ერთმანეთს, როცა ინტერნეტკავშირი უარესდება

იმ აპლიკაციების უმრავლესობა, რომელთაც ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ ვიყენებთ, ინტერნეტკავშირის (Wi-Fi ან მობილური ინტერნეტი) გარეშე არ მუშაობს. ასეთი პროგრამებია Facebook, Messenger, WhatsApp, Viber, Telegram და ა. შ.

კავშირის შეფერხებისას, გამოდის, ინფორმაციის მიმოცვლაც რთულდება. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ხალხმრავალ ადგილებში ანდა საპროტესტო აქციებზე, როცა ინტერნეტზე დიდი მოთხოვნის გამო კავშირი საგრძნობლად უარესდება (დაახლოებით ისე, როგორც გადაადგილება რთულდება ხოლმე). თუკი ჯგუფურად გვსურს საუბარი, მოუხერხებელია მობილური ნომრების გამოყენებაც.

მსგავსი სიტუაციებისთვის ისეთი პროგრამებიც არსებობს, რომლებიც სხვებთან ინტერნეტის გარეშე დაგვაკავშირებს. ასეთი აპლიკაციები Bluetooth-ს ან სხვა ტექნოლოგიებს იყენებს და ცენტრალური სერვერის გარეშე მუშაობს. ამ დროს კავშირი პირდაპირ მოწყობილობებს შორის მყარდება და არა, თუნდაც, ფიჭური კოშკისა თუ „როუტერის“ გავლით. ამას ერთრანგიანი, დეცენტრალიზებული, კავშირგაბმულობა ეწოდება, იგივე P2P.

სტატიაში ამ პრინციპით მომუშავე ოთხ აპლიკაციას შემოგთავაზებთ. მათი მეშვეობით ტექსტურ შეტყობინებებსა და ფოტო-ან ვიდეომასალას სხვებს ინტერნეტის გარეშე გაუგზავნით, თუმცა მხოლოდ 100-200 მეტრის რადიუსში. ისინი უფასოა და საიტ GeckoandFly-ს მასალიდან ამოვარჩიე.

1. Signal Offline - ხელმისაწვდომია როგორც Android-ზე, ასევე iOS-ზე. შიგნალ ინტერნეტკავშირის გარეშე მუშაობს და Wi-Fi Direct-ის ბაზაზე შექმნილი აპლიკაციაა. იგი კომუნიკაციის საშუალებას დაახლოებით 100 მეტრის რადიუსში იძლევა. კავშირის დასამყარებლად აპლიკაცია სიგნალს გზავნის, რათა ახლოს არსებული მოწყობილობები იპოვოს. ამის შემდეგ მობილურები ხელმისაწვდომი მომხმარებლების სიაში ჩნდება.

Wi-Fi Direct ტექნოლოგიაა, რომელიც ცენტრალიზებული ქსელის ან უსადენო „როუტერის“ გარეშე აკავშირებს მოწყობილობებს, მოწყობილობა კი ამ დროს „ჰოტსპოტის“ როლს ასრულებს. კავშირის დამყარების შემდეგ მონაცემების მიმოცვლა მყისიერად არის შესაძლებელი ახლო არეალში. Wi-Fi Direct იმაზე გაცილებით ძლიერია, ვიდრე Bluetooth.

კონტაქტი შესაძლებელია როგორც პირისპირ, ასევე ჯგუფურად. შეგიძლიათ ტექსტური შეტყობინებების, აუდიოჩანაწერების, ფოტოებისა და ვიდეოების გაგზავნა. ძველი საუბრები მონაცემთა ბაზაში ინახება და ნებისმიერ დროს შეგიძლიათ იხილოთ.

2. Bridgefy - ხელმისაწვდომია როგორც Android-ზე, ასევე iOS-ზე. Bridgefy-თ სარგებლობისათვის მხოლოდ Bluetooth-ის ჩართვა დაგჭირდებათ. აპლიკაცია სამ რეჟიმში მუშაობს:

- Person to Person Mode – Bluetooth-ის ჩართვის შემდეგ შეგიძლიათ, თქვენგან 100 მეტრის რადიუსში მყოფ სხვა მომხმარებლებს ეკონტაქტოთ;
- Mesh Mode – შეგიძლიათ, შუაში მყოფი მომხმარებლების გავლით უფრო შორ მანძილზე მყოფ ადამიანებსაც დაუკავშირდეთ. მაგალითად, ერთ ადამიანს შეუძლია, მესამე ადამიანს ესაუბროს, თუ შუაში მეორე ადამიანი დგას. ეს მანძილს დაახლოებით 200 მეტრამდე გაზრდის. იმავე პრინციპით ჯაჭვში უამრავი ადამიანი შეიძლება ჩაებას. არ იღელვოთ – შუაში მყოფი ადამიანები თქვენი შეტყობინებების წაკითხვას ვერ შეძლებენ;
- Broadcast Mode — Broadcast სექციიდან შეგიძლიათ, შეტყობინებები ერთდროულად Bridgefy-ს ყველა მომხმარებელთან გაგზავნოთ, რომლებიც თქვენთან ახლოს არიან. ეს მაშინაც კი შეგიძლიათ, თუ მომხმარებლები კონტაქტების სიაში არ გყავთ შეყვანილი.

3. Briar - Briar მობილურებს Bluetooth-ის ან Wi-Fi-ს მეშვეობით აკავშირებს. იგი უსაფრთხო, მარტივი და სწრაფი საკომუნიკაციო აპლიკაციაა.

განსხვავებით ტრადიციული საშუალებებისგან (მეილი, ტვიტერი ან ტელეგრამი), Briar ცენტრალურ სერვერს არ იყენებს – შეტყობინებები პირდაპირ მომხმარებელთა მოწყობილობებში მოდის სინქრონში. ინტერნეტის გათიშვისას აპლიკაცია Bluetooth-ის ან Wi-Fi-ს გამოყენებით აგრძელებს შეტყობინებების მიმოცვლას, ხოლო ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პირობებში კი მას ეს Tor network-ის მეშვეობით შეუძლია.

შეტყობინებები დაშიფრულია. ისინი მხოლოდ მოწყობილობებზე ინახება და არა ქლაუდზე.

4. White Mouse Private Messenger - ხელმისაწვდომია Android-ზე. White Mouse Chat აპლიკაციაა, რომელიც ინტერნეტის გარეშე მუშაობს. მას end-to-end დაშიფვრაც აქვს და შეტყობინებების გაგზავნა დაახლოებით 100 მეტრის რადიუსში შეუძლია.

უფრო ზუსტად, შესაძლებელია ტექსტური შეტყობინებების, ფოტოების, ფაილების, აუდიოჩანაწერებისა (მათი მოსმენა 2x სიჩქარითაც შეგიძლიათ) და ვიდეოების გაგზავნა; ასევე, ვიდეოზარითა თუ ხმოვანი ზარით დაკავშირება.

შეტყობინებები მხოლოდ მომხმარებლის მოწყობილობაში ინახება – არა ქლაუდზე ან სერვერზე. აპლიკაცია მხოლოდ იმ პირად ინფორმაციას იყენებს, რომელიც მისი მუშაობისთვის არის საჭირო. შესაძლებელია მობილური ნომრის გარეშე დაკავშირება.

თავისთავად, მსგავს სიტუაციებში საკომუნიკაციოდ, გარდა ამ ოთხისა, სხვა პროგრამებიც არსებობს. მათი მოძიება და სარგებლობა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ.

ბრიტანელმა ექიმებმა მელანომის ვაქცინის გამოცდა დაიწყეს

დიდი ბრიტანეთში, ექიმებმა უკვე ასობით პაციენტზე დაიწყეს მელანომის ვაქცინის გამოცდა. შეგახსენებთ, რომ მელანომა კანის კიბოს ერთ-ერთი ყველაზე მომაკვდინებელი ფორმაა. ექსპერტთა შეფასებით, ეს არის მსოფლიოში პირველი ვაქცინა, რომელიც კიბოს განკურნების თვალსაზრისით შესაძლოა რევოლუციურიც კი აღმოჩნდეს.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ექსპერიმენტული წამლის დოზა მიიღო, 52 წლის სტივ იანგია. კაცს გასული წლის აგვისტოში ოპერაცია ჩაუტარდა და კანის სიმსივნური მონაკვეთები ამოკვეთეს. ვაქცინის მიღების შემდეგ სტივის იმუნურმა სისტემამ უნდა ამოიცნოს და გაანადგუროს ორგანიზმში დარჩენილი კიბოს უჯრედები.

ექიმები იმედოვნებენ, რომ ეს ხელს შეუშლის დაავადების დაბრუნებას, რადგან აცრილ სხეულში ახალი სიმსივნე ვეღარ წარმოიქმნება.

ვაქცინას, რომელსაც ჯერ სახელიც არ აქვს, მინიჭებული აქვს შემდეგი კოდი mRNA-4157 (V940). ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის კლინიკის ექიმები დამატებითი სიფრთხილისთვის ვაქცინასთან ერთად, მოხალისეებს უკეთებენ პემბროლიზუმაბის (ანუ Keytruda) დოზას, რომელიც ასევე ეხმარება იმუნურ სისტემას კიბოს უჯრედების განადგურებაში.

კომბინირებული მკურნალობა ერთობლივად შეიმუშავა ორმა ამერიკულმა კომპანიამ, Moderna-მ და Merck Sharp-მა და ის ჯერჯერობით ხელმისაწვდომია მხოლოდ კლინიკურ კვლევებში მონაწილე პაციენტებისთვის.

ბრიტანეთის გარდა, ექსპერიმენტი პარალელურად ჩატარდება რამდენიმე სხვა ქვეყანაში - მათ შორის ავსტრალიაში. ვაქცინის შემადგენლობა ინდივიდუალურად ირჩევა ყველა პაციენტისთვის, მისი იმჟამინდელი მდგომარეობის შესაბამისად.

„ვაქცინა შეირჩევა, აბსოლუტურად, ინდივიდუალურად კონკრეტული პაციენტისთვის. აზრი არ აქვს პრეპარატის მეორე პირისთვის გადაცემას - ამ შემთხვევაში შედეგი არ დადგება“, - ამბობს კალიფორნიის უნივერსიტეტის დოქტორი ჰეზერ შოუ.

კიბოსთან ბრძოლა

საერთაშორისო კლინიკური კვლევაში ბრიტანეთიდან მინიმუმ 60-70 პაციენტი ჩაერთვება. საუკეთესო შედეგების მისაღწევად, მოხალისედ ირჩევენ მხოლოდ მათ, ვინც ბოლო სამი თვის განმავლობაში სიმსივნის მოკვეთის ოპერაცია ჩაუტარდათ.

ზოგიერთი მოხალისე ვაქცინის ნაცვლად პლაცებოს ინექციას მიიღებს. თუმცა, არც თვითონ და არც მათმა მკურნალმა ექიმებმა არ იციან, რომელ ჯგუფშია კონკრეტული მოხალისე.

მელანომას პირველი სიმპტომები, რომლებსაც ყურადღება უნდა მიექცეს:

*სხეულზე ახალი უცნაური ხალის გაჩენა;

*არსებული ხალის პიგმენტაციის ზრდა (მატება) ან ცვლილება;

*კანის რომელიმე უბნის პიგმენტაციის ცვლილება.

*რაც უფრო ადრე გამოვლინდება სიმსივნე, მით უფრო ადვილია მისი მოშორება, რადგან წარმატებული მკურნალობის ალბათობა უფრო მაღალია.

დოქტორ შოუს თქმით, ვაქცინაციას არ აქვს რთული გვერდითი მოვლენები. ამ დროს გამოხატულია დაღლილობა და ტკივილი წინამხრის არეში (იმ უბანზე, სადაც ვაქცინაცია ხდება).

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

მეორე მსოფლიო ომში დაკარგული გმირი 82 წლის შემდეგ არხილოსკალოში დაკრძალეს

განსაკუთრებული 9 მაისი იყო წელს დედოფლისწყაროსთვის. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მეორე წელია ქალაქში მთავარი მემორიალის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო სამამულო ომის გმირებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ვეღარ ტარდება, ეს დღე გამორჩეულად შევა ჩვენი რაიონის ისტორიაში. ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავს, სწორედ 9 მაისს დაემთხვა, 82 წლის წინ ,მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული **მიხეილ-მათე გვრიტიშვილის** *ნეშტის დაკრძალვის ცერემონია, რომელიც დედოფლისწყაროს სოფელ არხილოსკალოში შედგა. გვრიტიშვილის ნეშტი რუსეთიდან საქართველოში რამდენიმე კვირის წინ გადმოასვენეს.*

დაკრძალვის ცერემონიამდე ნეშტი სოფელ არხილოსკალოს ახლადაგებულ ღვთისმშობლის ხარების ეკლესიაში დაასვენეს, სადაც დეკანოზმა გაბრიელ ბენიაიძემ მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. ცერემონიას დედოფლისწყაროს მერიის წარმომადგენლები, ასევე მიხეილ გვრიტიშვილის შთამომავლები, ახლობლები და თანასოფლელები დაესწრნენ. ნეშტთან ერთად ცერემონიაზე სტუმრები ჩამოვიდნენ თბილისიდანაც. ამ კეთილი საქმის განხორციელება სწორედ ფონდ „დაბრუნების“ მუშაობის შედეგად მოხერხდა.

ომში დაცემულ გმირს მხოლოდ ერთი შვილი გადაურჩა, რამდენიმე კი გაჭირვების გამო დაეღუპა. სწორედ იმ ერთი შვილის ლიზას შვილები ცხოვრობენ ამჟამად სოფელ არხილოსკალოში. გვრიტიშვილების ოჯახს სწორედ ფონდი „დაბრუნებას“ წარმომადგენლები დაუკავშირდნენ, რომ რუსეთში აღმოჩენილი იყო მათი წინაპრის ნეშტი. ოჯახთან კომუნიკაციის შემდეგ დაიგეგმა ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებისა და ოჯახის წევრების გვერდით დაკრძალვის ორგანიზება. უნდა აღინიშნოს, რომ გვრიტიშვილების ოჯახს არცერთი თეთრი არ გადაუხდია და ყველა ხარჯი საკუთარ თავზე ხსენებულმა ფონდმა აიღო.

მიხეილ (მათე) გვრიტიშვილი 1942 წელს სევასტოპოლში ნაღმის აფეთქებას ემსხვერპლა. მისი ნეშტის იდენტიფიცირება 2022 წელს მოხდა, თუმცა სამშობლოში გადმოსვენება მხოლოდ მიმდინარე წლის მარტში გახდა შესაძლებელი. ცხედრის აღმოჩენა, გამოკვლევა და გადმოსვენების სამუშაოები არასამთავრობო საქველმოქმედო ფონდის დახმარებით მოხერხდა, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს და ორ ქვეყანას შორის ინფორმაციის გაცვლითაა დაკავებული. ამავე ფონდში მუშაობენ მოხალისეებიც.

ზაზა მილაძე *(ფონდი „დაბრუნებას“ ხელმძღვანელი):* „ხელისუფლების მხრიდან იყო პირობა, რომ სამხედრო წესით დასაკრძალად სამინისტრო ჩაერთვებოდა, თუმცა ასე არ მოხდა. მიზეზი ჩემთვის უცნობია, რადგან მე არ მქონია ხელისუფლებასთან კომუნიკაცია და ეს პირობა ოჯახს მისცეს. ამის მიუხედავად ჩვენი ძალებით დაკრძალვის დროს სამხედრო წესი-სამებრ მოვახდინეთ 5 გასროლა. დაკრძალვის ცერემონიაზე ჩამოვიდა ჩვენი ფონდის გამგეობის მთელი შემადგენლობა, მათ შორის მოხალისეებიც. ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც მებრძოლის სულს ეკადრება. რელიგიურადაც და სამოქალაქო წესითაც ყოველმხრივ მივაგეთ პატივი. ამ ყველაფერს განსაკუთრებული ელფერი შესძინა იმანაც, რომ პროცესი 9 მაისს დავამთხვიეთ და ამან ემოცია კიდევ უფრო გაამძაფრა. ნეშტთან ერთად ჩასასვენებელში მოთავსებულია მებრძოლის პირადი ნივთები, რომელიც გათხრის დროს აღმოჩნდა. ნაპოვნია ისეთი ნივთები, რომელმაც დროს გაუძლო. მაგალითად ქამრის ლითონის ბალთა, აირწინაღი, ვარსკვლავი, ჩექმაზე არსებული ნალები და ასევე იმ ნაღმის ნამსხვრევები, რომელმაც მებრძოლის სიცოცხლე იმსხვერპლა. რაც მთავარია, ნეშტს თან ახლდა კაფსულა, რითაც მისი ვინაობა დადასტურდა. რუსეთის მხარემ რა ხარჯიც გასწია, იყო თუ არა ეს რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ეს ჩემთვის უცნობია, რადგან ფონდი და მოხალისეები ძირითადად გრანტებითა და შემონირულობებით მუშაობენ, ქართული მხრიდან კი სახელმწიფო დაფინანსება არ დახარჯულა, მთლიანად ჩვენ დავფარეთ ყველა საჭირო ხარჯი. ამას გარდა, დედოფლისწყაროში ყოფნისას საინტერესო კავშირებიც დავამყარეთ, ვნახეთ ადგილზე მცხოვრები თანამოაზრეები, რომლებიც სამომავლოდ თანამშრომლობას და ინფორმაციის გაცვლას დაგვპირდნენ. დაგვეხმარებიან უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლების მოძიების პროცესში. მოხალისეობრივი თანადგომაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია“.

თავად გმირს სოფელში არავინ იცნობდა, რადგან ის ომში წასვლამდე მთაში ცხოვრობდა. მარტოდ დარჩენილ მის მეუღლეს სამი შვილის გაზრდა უკიდურეს სიდუხჭირეში უწევდა, რის გამოც 2 შვილი დაეღუპა. ანიკო ვეშაგური შირაქში სწორედ იმ იმედით გადმოსახლდა, რომ შიმშილს თავს დააღწევდა. ის მცირეწლოვან შვილთან, ლიზასთან ერთად ამ სოფელში დასახლდა. მებრძოლი კი ომიდან აღარ დაბრუნებულა. დღეს კი სწორედ მეუღლისა და შვილის გვერდით დაიდო სამუდამო ბინა მიხეილ (მათე) გვრიტიშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

ომგადახდილი მასწავლებელი

სოფელ ზემო ქედის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ვანო ბურდულმა საშუალო სკოლის მესამე საკლასო ოთახის კარზე ფრთხილად დააკაკუნა და როცა მიიღო კლასში შესვლის უფლება, მასწავლებელს* ივან წიკლაურს *მიმართა:

– „ბოდიშს გიხდი, ივანე მასწავლებელო, არასასურველ დროს სტუმრობისათვის“ - მასწავლებელს გადასცა ფრონტზე გაწვევის უწყება. „არ დააგვიანო, მანქანა გელოდება“.მასწავლებელმა ქუდი დაიხურა, სასწრაფოდ დაფაზე ცარცით დააწერა, „გიყვარდეთ სამშობლო, მე მალე დავბრუნდები“. რა იცოდა მასწავლებელმა, რომ მის მალე დაბრუნებას დასჭირდებოდა 1418 დღე და ღამე.

სოფლის თავში ერთი დიდი თუთის ხე იდგა, აქედან გააცილა სოფელმა ფრონტზე თავისი კუნთმაგარი 500 ვაჟკაცი. მათგან ნახევარზე მეტი ვეღარ დაბრუნდა. მიდიოდნენ გუნდ-გუნდად, ჯგუფ-ჯგუფად და ბრუნდებოდნენ თითო-ოროლა, დაჭრილ დაჩეხილები. დაბრუნდა **ბესო წიკლაური** უფეხოდ, ორივე ფეხი ფრონტზე დაკარგა. დაბრუნდა **მიხა ჩოხელი** ცალი ყბით, დაბრუნდა **სტეფანე ციხიშვილი**, მარჯვენა ხელზე ოთხი თითით. დაბრუნდა **ახალაშვილი კოლა**, მკერდით მტრის ტყვია ჩამოიტანა. ხუთი ძმიდან მარტო 1 ძმა, არსენ კობაიძე დაბრუნდა, მომავალში კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახდა. ვერ დაბრუნდნენ სამი ძმა ბურდულები, მამა-შვილი წიკლაურები და ბევრი სხვა.

„გრუშკიანთ ივანე დაბრუნდა, გრუშკიანთ ივანე დაბრუნდა!“ (ივანეს მამას ზედმეტსახელად გრუშკის ეძახდნენ. – ამ ცნობამ ელვის სისწრაფით შემოირბინა სოფლის ყველა უბანი. დიდი და პატარა თუთის ხესთან დახვდა ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულ მასწავლებელს, ივან წიკლაურს. იყო დიდი სიხარული და ბევრი შეკითხვა:

– ივანე, ჩემი შვილი გიორგაი ხომ არ გინახავს სადმე? სამი თვეა წერილი არ მიგვიღია.

– ივანე, ჩემი ძმა არჩილი გვწერდა, ბერლინში შევედითო, ხომ არაფერი იცი მის შესახებ?

– ივანე, ჩემი ქმარი იოსები..... თვალები ცრემლით აევსო...

– ივანე ძია, მამაჩემი როდის ჩამოვა?

რა უნდა უპასუხოს ამ გამწარებულ ადამიანებს? მან თვალი მოავლო მის შესახვედრად მოსულ თანასოფლელებს, ავად ენიშნა შავოსან ქალთა სიმრავლე. არა, იმედი არ უნდა მოკვდეს, იმედმა უნდა იცოცხლოს. აღუსრულებელი იმედი სჯობია იმედის გაწყვეტას. იმედმოშლილი ადამიანი ცოდოა.

– თებრო, შენი შვილი გოგია, ვარშავის ჰოსპიტალში ვნახე, დაჭრილი იყო, ახლა კარგად არის, წამოსასვლელად ემზადებოდა.

– მაყვალა, შენი ძმა წნორელ ბიჭებს ენახათ ბერლინში, მისი ბატალიონი ერთი თვით ქალაქში დატოვესო, წესრიგის დასამყარებლად. ერთ თვეში ჩამოვა.

– მარიამ, შენი ქმარი იოსები ცოცხალია, მალე ჩამოვა...

– ბიჭო ლუკა, მამაშენი სტალინმა გამოიძახა, მოსკოვში... გმირობაზეა წარდგენილი.

ივანე მასწავლებელი პირდაპირ სკოლისაკენ გაემართა. სკოლა დაკეტილი დახვდა, ბავშვები საზაფხულო არდადეგებზე იყვნენ წასულნი. კლასში ფანჯრიდან გადაიხედა, პატარა მერხების მაგიერ დიდი მერხები დაედგათ, „როგორ დაზრდილან“ - გულში სიამოვნება იგრძნო. ორი დღის შემდეგ მასწავლებელი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კობა ჩოხელმა მიიწვია თავის კაბინეტში.

–„ივანე, ჭკვიანი და განათლებული კაცი ხარ, ჩაიბარე კოლმეურნეობის საწყობი, იქ ხალხის დოვლათია: ყველი, ზეთი, ხორცი, ფქვილი, კარტოფილი და სხვა ბევრი რამ. მოვლა და გაფრთხილება უნდა“.

ივანე იჯდა საწყობში და ფიქრს მისცემოდა. „15-ნი წავედით, მე ჩამოვედი, სხვები სად არიან? იქნება... არა, არა!... ისინიც ჩამოვლენ!“

ივანე მტანჯველი ფიქრებიდან სკოლის ზარის წკრიალმა გამოიყვანა. სასწრაფოდ საერთო რვეულიდან ფურცელი ამოხია და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კობა ჩოხელს მაგიდაზე განცხადება დაუდო.

„რათა ივანე, რატომ მიდიხარ, იქნებ ხელფასი გეცოტავება? ხელფასს მოგიმატებ, არ წახვიდე, დარჩი“.

– არა, ამხანაგო კობა, ხელფასით კმაყოფილი ვარ, მე ბავშვებს შევპირდი მალე დავბრუნდები მეთქი, თუმცა ცოტა დამაგვიანდა. ბავშვები მელოდებიან, ვერ ვუღალატებ...

– კარგი, ნება შენია! - უთხრა და სკოლისაკენ მიმავალ მასწავლებელს ფიქრი დაადევნა: „ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი შვილი ჰყავს!“.

ნიკო მასწავლებელი, ზემო ქედი

გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს

სოფელ ზემოქედის კულტურის სახლთან არსებულმა თვითშემოქმედებითმა ბავშვთა გუნდმა, ხელმძღვანელებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად პატივი მიაგეს სამამულო ომში დაღუპულ გმირების. სწორედ მათ საპატივსაცემოდ, 9 მაისს, ღონისძიება გამართეს ზემო ქედის გმირთა მემორიალთან და ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის ძეგლი.

როგორც კულტურის სახლის ხელმძღვანელი მაია ყველაშვილი ამბობს, ღონისძიებას ტრადიციული სახე აქვს და ყოველწლიურად იმართება.

„მოზარდები და ზრდასრული ადამიანები, ამინდის მიუხედავად, ყოველწლიურად ცდილობენ ობელისკთან თავი მოიყარონ და პატივი მიაგონ თავდადებულ გმირებს. თითქმის ყველა ოჯახის წინაპარი იყო მეორე მსოფლიო ომში წასული, ამიტომ მათთვის ამ დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს,“ - ამბობენ ზემო ქედის კულტურის სახლში.

მეუღლე ედიშერ გიორბელიძე, შვილები გელა და ნუგზარ გიორბელიძეები, ძმა ბესო ჩოფიკაშვილი, რძალი ნინო ფიროსმანაშვილი, და ლაურა ჩოფიკაშვილი, ძმისშვილები: გიორგი და ზურაბ ჩოფიკაშვილები, დისშვილები: აკაკი და ხათუნა ქვრივიშვილები იუწყებიან

ცირა გიორგელიძე-ჩოფიკაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 მაისს სოფელ სამრეკლოში.

საბა ბუთხუზი მეორედ კონტინენტის ჩემპიონია

დასრულდა ევროპის ჩემპიონატი შვედეთში, სადაც 33 ქვეყნის 500 სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრებისთვის ჩემპიონატი საკმაოდ წარმატებული იყო. სპორტსმენებმა ორი ოქროს მედალი დაისაკუთრეს, საიდანაც ერთი დედოფლისწყაროელი საბა ბუთხუზის ანგარიშზეა. კონტაქტურ სტილში ოქროს მედალი დედოფლისწყაროდან საბა ბუთხუზმა, თბილისიდან კი დავით ნაზაროვმა მოიპოვეს.

პირველივე ბრძოლაში საბამ ბრიტანელი მეტოქე **ჩენედ დემჯენი** ნოკაუტით დაამარცხა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბრინჯაოს მედალი უკვე გარანტირებული ჰქონდა. თუმცა, შედეგი გაუმჯობესა და დანარჩენი ბრძოლებიც მოიგო. ნახევარფინალშიც შვედ მებრძოლთან, **მაქსიმუს ებერგთან** ორივე რაუნდში სრული დომინაციით მოიპოვა გამარჯვება, რითაც ფინალში ოქროსთვის ბრძოლის უფლება მიიღო. ფინალში კი უკრაინელი **ალექსანდრ იურჩენკო** დაამარცხა.

გიორგი ცისკარაული *(მწვრთნელი):* „საბა ორგზის ევროპის ჩემპიონია! ბევრს არ სჯეროდა ეს შედეგი, მაგრამ შენ ზუსტად იცი ჩემი ხასიათი, ზუსტად იცოდი ჩემი განწყობები, ვამაყობ შენით და სულ ვიამაყებ, რომ წვლილი მაქვს შეტანილი შენს განვითარებაში! ბოლო წამამდე მჯეროდა შენი! შენ კიდევ ბევრს დაუმტკიცებ საკუთარ შესაძლებლობებს. 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში საბა უკვე მეორედ კონტინენტის ჩემპიონია! ეს გამარჯვება ნიშნავს, რომ დედოფლისწყაროს უშუს გუნდი განვითარების და სიძლიერის დონით მსოფლიოში ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ძალაა, რადგან ჩვენი ბიჭები საუკეთესო შედეგებს დებენ მუდამ“.

ჯამში ტაოლუსა და სანდას ნაკრებმა მოიპოვა 2 ოქრო; 2 ვერცხლი და 7 ბრინჯაო:

საბა ბუთხუზი ოქრო *(დედოფლისწყარო)*

დავით ნაზაროვ ოქრო *(თბილისი)*

ალექსანდრე კუჭავა ვერცხლი *(თბილისი)*

ნიკოლას მასხულია ბრინჯაო *(თბილისი)*

ნიკა ბაღიშვილი ბრინჯაო *(მარტვილი)*

მარიამ არზიანი ერთი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო (ფოთი)

მათე კორთხონჯია ბრინჯაო (ფოთი)

გვანცა ქარჩავა ბრინჯაო (ფოთი)

ნიკოლოზ ნუცუბიძე ორი ბრინჯაო (თბილისი)

რა განწყობაა მსოფლიო ჩემპიონისა და ევროპის უკვე ორგზის ჩემპიონის ოჯახში, „შირაქი“ ამის გარკვევას შეეცადა.

ფერიდე ტვილდიანი *(საბას დედა)*: „მინდა აღვნიშნო, რომ ეს პირველი შეჯიბრი იყო, სადაც საბას წონის კლება არ უწევდა. 66 კილოგრამი შეებრძოლა 70კგ წონის მებრძოლებს, თუმცა, მისი მწვრთნელები გიორგი ცისკარაული და ლუკა პოპიაშვილი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მისთვის რამდენიმე კილოგრამი შემაფერხებელი არ აღმოჩნდებოდა და ასეც მოხდა. ყველაზე მეტად რაც საბას ხასიათშია, ესაა საკუთარი თავის რწმენა. ბარგს რომ ალაგებდა – „დედა, იცი რა „ჯანზე“ ვარ?! - აუცილებლად მოვიგებ“-ო მითხრა! არასოდეს ფიქრობს, რა სიძლიერის მეტოქე ეყოლება, მხოლოდ მოგებაა მისი საფიქრალი და, ჯერჯერობით, ღვთის წყალობით, მწვრთნელების დაუღალავი შრომით და თავდაჯერებულობით ყველაფერი ისე მიდის, როგორც გეგმავენ. ვუყურებდი და ვტიროდი, მეგონა, მეორედ მოგება არ იქნებოდა ასეთი ემოციური, მაგრამ დედისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონია. ჩვენი ოჯახის სახელით, უდიდესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ საბას გულშემატკივარს, არაფერს აქვს აზრი, თუ გულშემატკივარი არ გეყოლება. მადლობა ასევე ავთო გარაქლიდისის და გია ხახაბუელის ოჯახებს და, რა თქმა უნდა, მადლობა მის მწვრთნელებს ასეთი კონკურენტუნარიანი და ანგარიშგასაწევი სპორტსმენის განვითარებისთვის.

პირველ რიგში, დიდი ბედნიერებაა ძველი ტიტულის შენარჩუნება. ემოციას ამძაფრებდა ისიც, რომ ქართველი ბიჭები საბას მხარდასაჭერად დარბაზში მივიდნენ და ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. ეს იყო ყველაზე დიდი განცდა მისთვისაც და ჩვენთვისაც. ყველაზე მეტად იქ მყოფი უცხოელი სპორტსმენის სიტყვებმა დამაფიქრა, როცა მივიდა და უთხრა „შენ აქ ჩვენს შორის, ყველაზე საუკეთესო ხარო“! ხომ წარმოგიდგენიათ ამის მოსმენა მშობლისთვის რამხელა ბედნიერებაა, როცა საბას უკვე სერიოზულ კონკურენტად აღიქვამენ და თან მოსწონთ როგორც სპორტსმენი. ჩემი კლასელები, რომლებიც შვედეთში ცხოვრობენ, საბას მხარდასაჭერად მივიდნენ დარბაზში, სასტუმროშიც აკითხავდნენ და ყურადღებას აქცევდნენ. მოგების შემდეგ კი სახლში წაიყვანეს, დაიტოვეს და გაუმასპინძლდნენ, შემდეგ გუნდთან ერთად საქართველოში გამოაცილეს. ქვემო ქედის სკოლიდან ჩემი კლასი ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ მრავალი წელია ისინი აღარ მინახავს. ამის მიუხედავად, მითხრა, დიდი ხანი ვემზადებოდი საბას ჩამოსასვლელად, ჩათვალე ჩემს სახლში ჩამოდის, არაფერს გავუჭირვებთო. თანატოლი შვილებიც გააცნო და კარგად დამეგობრდნენ. მათი დამსახურებით უდარდელად მეძინა. ასევე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ გია ხახაბუელი, ისიც ქვემო ქედიდან წლების წინ წასული და ქართველი ბიჭები მივიდნენ დარბაზში საბას საგულშემატკივროდ, რა თქმა უნდა, მათაც დიდი პატივი სცეს რაც უცხო მიწაზე ძალიან დასაფასებელია.“

გიორგი ვერულიძე: *(უშუს ფედერაციის პრეზიდენტი):* „საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის ნაკრები იმყოფებოდა ევროპის უშუს მე-19 ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ჩატარდა შვედეთის ქალაქ სტოკჰოლმში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფედერაციას ასეთი რაოდენობის მედლები ევროპის ჩემპიონატზე სპორტულ სტილში არასდროს აუღია. საქართველოს მონაგარია 2 ოქრო, 2 ვერცხლი და 7 ბრინჯაო. ასეთი დიდი წარმატება არ იქნებოდა, რომ არა ჩვენი მწვრთნელების თავდაუზოგავი მუშაობა. მადლობა მინდა გადავუხადო სანდას ნაკრების მწვრთნელებს ლაშა სუმბულაშვილსა და დავით კუჭავას, სპორტსმენების პირად მწვრთნელებს: გიორგი ცისკარაულსა და დათა წულაიას. მადლობას ვუხდი ფოთის უშუს სკოლის მწვრთნელს ვასილ დუნდუას. ჩვენ ერთი გუნდი ვართ“.

საერთო ჯამში საქართველოს უშუს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე თერთმეტი მედალი მოიპოვა. უშუს ევროპის მე-19 ჩემპიონატს შვედეთმა უმასპინძლა. კონტინენტის პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს ქართველმა უშუისტებმა. ჩემპიონატში ტაოლუსა და სანდას ნაკრებმა ორი ოქროს, ორი ვერცხლისა და შვიდი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

სანდას ნაკრებიდან ოქროს მედლები საბა ბუთხუზმა და დავით ნაზაროვმა, ვერცხლი ალექსანდრე კუჭავამ, ბრინჯაო კი ნიკოლას მასხულიამ და ნიკა ბაღიშვილმა მოიპოვეს. ტაოლუს ნაკრებიდან ვერცხლი და ბრინჯაო მარიამ არზიანმა, ვერცხლისავე მედლები კი მათე კორთხონჯიამ და გვანცა ქარჩავამ მიიღეს. ნიკოლოზ ნუცუბიძემ კი ტურნირი ორი ბრინჯაოს მედლით დაასრულა.

ილია მარტყოფლიშვილი

სამლოცველო სახლის საინტერესო ისტორია

მარიამ ღვთისმშობლის შობის სახელობის სამლოცველო სახლი მდებარეობს ქალაქ დედოფლისწყაროში. ეს სახლი ოდესღაც ჩვეულებრივ საცხოვრებელ ბინას წარმოადგენდა. მისი არც თუ ისე დიდი და სრული ისტორია ასეთია:

რემა არჟანოვას *დედის მოგონებიდან:* „მე-19 საუკუნეში ამ ადგილას ყოფილა გაუვალი ტყე, სადაც მრავლობდა გარეული ცხოველი, განსაკუთრებით ბევრი ყოფილა ჯეირანი და ჯიხვი. არჟანოვების წინაპრებს გაუჩეხიათ ტყის დიდი ნაწილი და ამ ადგილას ჩაუდგავთ ჩვეულებრივი ოროთახიანი საცხოვრებელი სახლი“... რემა არჟანოვას გადმოცემის თანახმად, მისი პაპა ფილიპ არჟანოვი უკვე ამ სახლში დაბადებულა 1901 წელს. შემდეგ, როცა ოჯახი გაიზარდა, მოუშენებიათ კიდევ ერთი ოთახი. საერთო გაჭირვებამ აიძულა, გაეყიდათ ერთი ოთახი.1960 წელს ეს ერთი ოთახი იყიდა ვინმე მამა სტეფანემ, რომელსაც ადრე ოფიცრად უმსახურია. მან მეუღლესთან ერთად მოაწყო ეკლესია. 1962 წელს არჟანოვებმა ის ორი ოთახიც მიჰყიდეს მამა სტეფანეს, თვითონ კი იქვე ააშენეს ახალი სახლი. მისი წასვლის შემდეგ ამ ადგილას მოვიდა მამა ანატოლი, მას მოჰყვა მამა პავლე შემდეგ დეკანოზი მირიანი... წირვა ლოცვა მიმდინარეობდა ქართულ-რუსულ ენებზე.

საინტერესოა აქ მოთავსებული მე-19 საუკუნის ხატები, ამ ხატებმა უამრავი რბევა-აწიოკება გამოიარეს... ისინი ეკუთვნოდა იმ ეკლესიას, რომელიც 1921 წლამდე დედოფლისწყაროში გაზიფიკაციის საცხოვრებელი სახლის ადგილას მდგარა. ამ ეკლესიის ეზო მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას დღევანდელი ბაზრიდან ქვემოთ (სადაც მანქანები წრეს აკეთებენ) მომსწრეთა გადმოცემით, პირველ სართულზე, ერთ მხარეს ქართველები ლოცულობდნენ, მეორე მხარეს რუსები, ხოლო მეორე სართულზე მგალობელთა გუნდი გალობდა.

ლალი ბასილაშვილი,
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მკვლევარი

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 13.05	სამშაბათი 14.05	ოთხშაბათი 15.05	ხუთშაბათი 16.05	პარასკევი 17.05	შაბათი 18.05	კვირა 19.05
დღე	16°	12°	14°	15°	16°	16°	20°
ღამე	8°	8°	6°	7°	7°	8°	10°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა გენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა ნელიწადში – 20 ლარი